- დასაშვებად მიმაჩნია, ორ ობიექტს შორის დამაკავშირებელ ფლიგელების შუა ნაწილში 1950-იან წლებში გაჩენილი ერთ-ერთი, თითქმის სრულად განადგურებული კლასიცისტური იერსახის ფლიგელის ფრაგმენტულად შენარჩუნება და ახალ კონსტრუქციაში ჩასმა ან შემორჩენილი სვეტების ეზოს დეკორატიულ ელემენტად გარდაქმნა;

- დასაშვებად მიმაჩნია, კომპლექსის ოთხი ძირითადი კორპუსიდან, ერთ-ერთი, თითქმის სრულად დანგრეული კორპუსის თანამედროვე ობიექტით ჩანაცვლება. თუმცა აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არსებული ობიექტის მასა, მასშტაბი, გეგმარება, მდებარეობა და მისი მიმართება კომპლექსის სხვა ობიექტებთან.· ახალი მოცულობის გაჩენის შემთხვევაში მისი სიმაღლე არ შეიძლება ასცდეს არსებული ობიექტების სიმაღლის ნიშნულს, სასურველია გამეორებულ იქნას ძველი შენობის კონტური, მასშტაბი და არქიტექტურული გადაწყვეტა ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული, ისე რომ მან პრობლემა არ შეუქმნას არსებული შენობის მთლიანობასა და მის აღქმას;

**არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.3. სანატორიუმი  “გეოლოგი”

**მდებარეობა:  ბარათაშვილის ქუჩაზე ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს  სამი სანატორიუმი: “თბილისი”, “გეოლოგი” და  “გელათი”. მდებარეობით მეორე სანატორიუმს შორის არის სანატორიუმი “გეოლოგი”  ნ. ბარათაშვილის ქ. #4 ,**
**მშენებლობის თარიღი : 1966-1976 წელი**
**მაქსიმალური სართულიანობა: 5**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

355 საწოლზე გათვლილი, ნევროლოგიური პროფილის  სანატორიუმი “გეოლოგი” აგებულია არქიტექტორთა ჯგუფის მიერ: ვ. კედია, ლ. სტეპანოვა, ვ. ყუფარაშვილი. შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა სახასიათოა 1960-1990წწ წლებში  საბჭოთა კავშირში გავრცელებული სტილის ე.წ. გვიანი მოდერნიზმისთვის.

ოსტატურად  ლანდშაფტურ გარემოში ჩაწერილი სანატორიუმი “გეოლოგი ” ორი კორპუსისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს ღია გადასასვლელით უკავშირდება. ძრითადი L  გეგმარების მქონე კორპუსი, მთავარი ფასადის მხრიდან  ხუთ, უკანა ფასადის მხრიდან - ოთხსართულიანი.  ისტორიულ ფოტოებში სხვადსხვა დროის მონაკვეთზე, განსხვავებული ფერით შეღებილი კედლის სიბრტყე  დაცხრილულია მარტივი ღიობებით. მთავარი ფასადის პირველი სართული მოპირკეთებულია ღია ფერის მასალით,  გადახურვა ბრტყელია, სახურავის ფილა სცდება შენობის ძირითად ტანსა და ასრულებს, კრავს, მთელ შენობას. სადა, ყოველგვარ დეკორს მოკლებული შენობის არქიტექტურული სახის შექმნაში გადამწყვეტი როლს მთელ სიგრძეზე გადაჭიმული ღია აივნების უწყვეტი რიგი თამაშობს,  რომლებიც მძლავრ  ჰორიზონტალურ აქცენტს ქმნის. აივნების სადა, ყრუ არადეკორირებული მოაჯირების ფერი განსხვავდებოდა შენობის კედლის ფერისაგან, რაც ასევე გამოყენებული იყო არქიტექტურული იერის შექმნისთვის. სამწუხაროდ, მთლიანად არის შეცვლილი აივნის მოპირკეთების  მასალა.  მთავარი შესასვლელი აქცენტირებულია სპირალური, რუხი  ქვის ფილებით მოპირკეთებელი კიბით.  შენობის  არქიტექტურული იერსახე აგებულია  გეომეტრიულ მოცულობათა და ფორმათა ურთიერთშეფარდებაზე. შენობის უკანა ფასადის დამუშავება მსგავსია.

ტერიტორიის გამოყენების სპეციფიკა ისეთივეა, როგორც გვერდზე არსებულ სანატორიუმ “თბილისში”. სანატორიუმის კუთვნილი მიწის ნაკვეთი გაყოფილია ორ,  თითქმის თანაბარ ნაწილად. ერთი,ქუჩისპირა მონაკვეთი, დათმობილი აქვს  პარკს, მეორეზე  კი განთავსებულია ძირითადი და სხვა დამხმარე ნაგებობები. დღევანდელი მდგომარეობით პარკის ნაწილში აგებულია ეკლესია.



მეორე,  ოთხსართულიანი, მართკუთხა ფორმის ნაგებობაც სადა, მარტივი, ლაკონიური ფორმებითა და გადაწყვეტებით ხასიათდება. შენობის კედლები მოპირკეთებულია  ღია ფერის ქვით,  მთავარი, სანატორიუმის ცენტრალური კორპუსისკენ მიმართული ფასადი თითქმის მთლიანად შემინულია. შენობა არ წარმოადგენდა საცხოვრებელ კორპუსს, ის დატვირთული იყო სხვადასხვა ფუნქციით. მათ შორის, აქ მდებარეობდა სანატორიუმის სასადილო.  ამ ორ შენობას ერთმანეთთან აკავშირებს  ღია  გადასასვლელი. ინტერიერის დიდი ნაწილი განადგურებულია.

**რეკომენდაციები პირველად მონაცემებზე დაყრდნობით:**

სანატორიუმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოდერნიზება აუცილებელია, სასურველია, შენარჩუნდეს ობიექტის კონტური, მასშტაბი.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



## 2.4.4. სანატორიუმი „იმერეთი“

მდებარეობა : სულხან საბას ქ.3. კურორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სულხან საბას ქუჩაზე ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს ორი სანატორიუმი: „სინათლე“, სანატორიუმების ამფითეტრის პირველ რიგში, პარკთან უფრო ახლოს და მის უკან სანატორიუმი „იმერეთი“.

**მშენებლობის თარიღი : 1950-1961**
**მაქსიმალური სართულიანობა: 4**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

სანატორიუმი “იმერეთის” მშენებლობა 1950 წელს დაიწყო, ექსპლუატაციაში კი 1961წ. 6 ივლისს შევიდა. არქიტექტორების ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ლ. ჯანელიძის პროექტის მიხედვით აგებული მონუმენტური პომპეზური არქიტექტურული ობიექტი 300 საწოლზე იყო გათვლილი და ნევროლოგიური პროფილი ჰქონდა.

ნერვული სისტემის დაავადებებზე პროფილირდებოდა. აღჭურვილი იყო თანამედროვე აპარატურით, გააჩნდა მექანოთერაპიის, ჰიდროთერაპიის, ფსიქოთერაპიის, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა კაბინეტები.

სანატორიუმის მთავარი კორპუსი სულხან საბას ქუჩის ხაზიდან დაახლოებით 50 მეტრით შეწეული ბაქანზეა განთავსებული. რუხი რუსტებით მოპირკეთებული ბაქანის ცენტრალური ნაწილი, რომელიც სანატორიუმის მთავარ შესასვლელის ხაზს ემთხვევა, ძლიერად არის შვერილი და მომრგვალებული, აქ მოწყობილია ორმხრივი კიბე.
კიბის ავლის შემდეგ ვხვდებით სანატორიუმის „სოციალისტური კლასიციზმისთვის“ სახასიათო იერის მქონე ობიექტთან. შენობა ორი, ერთმანეთთან გადასასვლელით დაკავშირებული ფლიგელისგან შედგება. ცენტრალური კორპუსის მკლავები კურდონერს წარმოქმნიან, რომლითაც ის ეზოში იხსნება.

მთავარი, ქუჩაზე გამომავალი გრძელი ფასადი თეთრი ქვით არის მოპირკეთებული და თაღოვანი გალერეით, არქიტრავული და თაღოვანი ღიობებით დანაწევრებული. ფასადის კომპოზიცია სიმეტრიულია. ერთფეროვნებისგან თავის დასაღწევად კედლის სიბრტყეებად “დატეხვის” ხერხი, რომელსაც ხშირად ვხვდებით წყალტუბოს ობიექტებში, აქაც გამოყენებულია : სანატორიუმის მთავარი ფასადი კიდეებიდან მოზღუდულია ძლიერად შვერილი რიზალიტებით, ცენტრალური მონაკვეთი კი სიღრმეშია შეწეული და ერთი სართულით ამაღლებული. პირველი სართულზე სხვადასხვა სიბრტყედ დატეხილ ფასადს აერთიანებს თაღოვანი გალერეა ბალუსტრადით.
ფასადი მეორე სართულზე არქიტრავული, მესამეზე კი თაღოვანი, ლითონის შეკიდულ აივნებიანი ღიობებით არის დანაწევრებული, ცენტრალური ნაწილის მეოთხე სართულზე გადახურული ვერანდაა მოწყობილი





დეკორირებული სვეტებით და მოაჯირით.

კლასიკური და ნაციონალური არქიტექტურიდან ნასესხები დეკორატიული ელემენტები შენობის ძირითად ფასადზე უხვად არის გამოყენებული, კარნიზზე, ღიობთა საპირეებზე, აივნის მოაჯირებზე. სანატორიუმის ფრონტალური, სიმეტრიული არქიტექტურული კომპოზიცია ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებების კონტრასტზეა აგებული: ჰორიზონტალი ხაზსგასმულია გალერეის, აივნების, ღიობების კომპოზიციითა და დინამიკით, ვერტიკალი კი, რიზალიტებით, და შუა, ამაღლებული მონაკვეთით. .ვერტიკალის და ჰორიზონტალის ბალანსი სტალინურ არქიტექტურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა, რომელსაც საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. შენობა უნდა ყოფილიყო მიწაზე „მყარად მდგარი: „ჩვენ მხნედ ვდგავართ მიწაზე, მყარად ვდგავართ მიწაზე“ და, ამავდროულად, მსუბუქიც: „საერთო სიდიადის ფონზე გარკვეული სიმსუბუქის შთაბეჭდილება უნდა შევქმნათ და შენებისას დავეყრდნოთ პრინციპს - სიმსუბუქე ზემოთ/მაღლა”. ამ ყველაფერის შედეგად, უნდა შექმნილიყო მყარად მიწაზე მდგომი მონუმენტური არქიტექტურა, რომელიც ადამიანს განაცდევინებდა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ხალისიან სიმსუბუქეს.

არქიტექტურული დამუშავება გამარტივებული, თუმცა მსგავსია გვერდითა ფასადებზეც, ეზოს მხრიდან კედლის სიბრტყე შელესილი, შეღებილი და არქიტრავული და თაღოვანი ღიობებით არის დანაწევრებული, ვხვდებით თაღებსაც. კურდონერის შემკვრელი სამივე მკლავის ცენტრალური ზონა რიზალიტებით არის აქცენტირებული, გვერდითა მკლავებზე იდენტურია, შუა მკლავზე კი უფრო მოცულობითი და განსხვავებული. რიზალიტებში განთავსებულია საინტერესოდ გადაწყვეტილი კიბეები. მიუხედავად ინტერიერის მდგომარეობისა, კარგად იკითხება მისი მაღალმხატვრული და ღირებული გადაწყვეტები.
სანატორიუმის ძირითადი კორპუსის მდგომარეობა სავალალოა, მისი ერთი ფლიგელი გადახურვის გარეშეა დარჩენილი, შიდა სივრცეები დეგრადირებული, დიდი წილად განადგურებულია.

მთავარი კორპუსი ერთსართულიანი თაღოვანი გადასასვლელით უკავშირდება როტონდას, რომელშიც მოწყობილი იყო სასადილო/რესტორანი და სხვა ფუნქციის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეები.

სანატორიუმი „იმერეთი“ ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და საინტერესო ობიექტია წყალტუბოში და ზოგადად ქართული სტალინური პერიოდის არქიტექტურაში. შესაბამისად აუცილებელია მისი რესტავრაცია და ძირითადი მახასიათებლების სრული შენარჩუნება-აღდგენა.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

შესაბამისად, სანატორიუმის ორივე ფლიგელში (სანატორიუმის ძირითადი კორპუსი და რესტორანი/სასადილო):
- შესაბამისად აუცილებელია ობიექტის რესტავრაცია მისი დაგეგმარების სტრუქტურის, მასშტაბის, ხასიათის, სილუეტის, იერსახის, და სხვა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით.
- შენარჩუნებული უნდა იყოს ორ კორპუსის დამაკავშირებელი ფლიგელი, დაუშვებელია მისი მოცულობაში გაზრდა;
- სრულად უნდა მოხდეს საფასადე დეკორის რესტავრაცია;
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს ინტერიერში, დამატებითი კვლევის შედეგად გამოვლენილ ღირებულ ელემენტებს;
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს და თავდაპირველი სახით აღდგეს კიბეები, როგორც ინტერიერში ასევე ექსტერიერში;
- უნდა აღდგეს ეზოშია არსებული აუზები;
- დაუშვებელია ძირითად ან რესტორანი/სასადილოს ფლიგელზე დაშენება;
- დასაშვებად მიმაჩნია შიდა გეგმარების შეცვლა და თანამედროვე საჭიროებებზე ადაპტირება, თუმცა დაუშვებელია არსებული ჰოლების დანაწევრება, რესტავრაცია ესაჭიროება ჰოლებში განთავსებულ სვეტებს;
- შესაძლებლად მიმაჩნია, რესტორნის სამზარეულოსთვის განკუთვნილი მკლავის რეკონსტრუქცია მასშტაბის და მოცულობის შენარჩუნებით. რეკონსტრუქციის ან თანამედროვე მოცულობით ჩანაცვლებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ისტორიული შენობის მახასიათებლები. დაუშვებელია რაიმე ფორმით მას შეექმნას ფიზიკური ან/და ვიზუალური საფრთხე;
- დასაშვებად მიმაჩნია ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობების დემონტაჟი;

სანატორიუმის მდგომარეობა სავალალოა, შენობის გარკვეულ ნაწილზე სახურავის არ არსებობა დიდ საფრთხეს უქმნის მას. აუცილებელია, სასწრაფოდ განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები, რაც ნაწილობრივ მაინც შეაჩერებს ობიექტის განადგურების პროცესს.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს ღრმა ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.5. სანატორიუმი “გელათი”

მდებარეობა : ბარათაშვილის ქუჩაზე ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს სამი სანატორიუმი: “თბილისი”, “გეოლოგი” და “გელათი”. სანატორიუმების ამ რიგს ასრულებს “გელათი” , ნ. ბარათაშვილის ქ. #8 ,

**მშენებლობის თარიღი : 1953-1964**
**მაქსიმალური სართულიანობა: 3**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

225 საწოლზე გათვლილი, ნევროლოგიური პროფილის სანატორიუმი “გელათი” ექსპლუატაციაში შევიდა 1964 წელს, როგორც ქუჩის გადაღმა, არსებული სანატორიუმ “მეტალურგიის” მეორე კორპუსი, 1967 წელს კორპუსი ცალკე სანატორიუმად გამოეყო და ეწოდა “გელათი”. შენობა აგებულია არქიტექტორთა ჯგუფის მიერ: ნ.პოლიუდოვი და პ.აბრამოვი.

“შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური” საბჭოთა არქიტექტურის მოთხოვნების შესაბამისად 1970-იან წლამდე, წყალტუბოში აგებულ სანატორიუმებში მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ქართული ხუროთმოძღვრებიდან, ძირითადად შუა საუკუნეების ქართული საკულტო არქიტექტურიდან ნასესხები თემები და მოტივები. კურორტზე არსებული სანატორიუმებს შორის “გელათის” არქიტექტურულ გადაწყვეტაში ყველაზე მეტად იკითხება ნაციონალური თემატიკა.
წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის, ჩაკეტილი გეგმარების მქონე ობიექტს, გრძელი ფლიგელების ცენტრალური ნაწილში, დამატებული აქვს კიდევ ერთი, შენობის ძირითად მასიდან ამოზიდული, ფრონტონით დასრულებული ფლიგელი, რომელიც კვეთს შიდა ეზოს და ერთმანეთთან აკავშირებს შენობის ორ გრძივ ფლიგელს, შესაბამისად წარმოქმნის ორი დამოუკიდებელი ეზოს.

შენობა დამრეც რელიეფზე დგას, ამიტომ მისი ერთი ნაწილი სამ, მეორე კი ორ სართულიანი. სახრეთ და აღმოსავლეთ ფლიგელების სამივე სართულზე ღია გალერეებია. ფასადების მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტაც მსგავსია. ორივე ფასადს გარს შემოუყვება გიგანტური, სამი სართულის გამაერთიანებელი თაღედი. ქვით მოპირკეთებული ღილვებით გაფორმებული თაღების მომრგვალებულ ფორმას ზუსტად იმეორებს, ქართული ნაციონალურ მოტივებზე შექმნილი დეკორით გაფორმებული ლავგარდანი.

მთავარი ფასადის ცენტრალური ნაწილი შემაღლებული, ფრონტონით დასრულებული და უფრო მაღალი და განიერი თაღით გახსნილი. აქ მოწყობილია ცენტრალური შესასვლელი. ამ მონაკვეთის ხაზზე მდებარეობს გრძივი ფლიგელების დამაკავშირებელი მკლავი. ფრონტონებით დასრულებული, ამ ამოზიდული მოცულობის სივრცით-არქიტექტურულ გადაწყვეტაც ქართულ საკულტო არქიტექტურიდან არის ნასესხები, ისევე როგორც ექსტერიერში და ინტერიერშიც არსებული არაერთი დეკორატიული ელემენტის.

აღსანიშნავია, სახრეთ და აღმოსავლეთ ფლიგელების შესაყარზე არსებული უხვად





დეკორიებული კოშკური მოცულობა-ბელვედერი, რომელიც გარკვეულად ეხმიანება სანატორიულ «გელათის» სიახლოვეს მდებარე სანატორიუმ «მეტარლურგის» კოშკს.
ჩრდილოეთი და დასავლეთის ფასადების დამუშავეა უფრო მარტივია, შელესილი-შეღებილი კედლის სიბრტყე არქიტრავული და თაღოვანი ღიობებითაა დანაწევრებული, ჩრდილოეთის ფასადის ცენტრალური ზონაც მონიშნულია ფრონტონით დასრულებული ამოზიდული მონაკვეთით.

გამოირჩევა ცენტრალური შესასვლელიდან მარჯვნივ არსებული ორდონიანი ეზოს გადაწყვეტაც, აქაც ღია გალერეაა, თუმცა მათი დეკორირებისას გამოყენებულია არა ნაციონალური, არამედ კლასიკური არქიტექტურის მოტიბები , კერძოდ კი, კორინთული ორდერი, რის გამოც ეს სივრცეს მეტად იტალიური პატიოს ასოციაციას ქმნის.
ინტერიერის დიდი ნაწილი განადგურებულია, თუმცა უფრო საფუძვლიანი დათვალიერებისა და კვლევის შედეგად სავარაუდოდ გამოვლენილი იქნება საინტერესო გადაწყვეტები და ღირებული, თანადროული ელემენტები.

მიუხედავად იმისა რომ ობიექტის მშენებლობა 1950-იანი წლების ბოლოსა და1960-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა, ამ პერიოდში კი სტალინური არქიტექტურა, მისი პომპეზურობითა და ხასიათით, რაც ნაციონალური და კლასიკური არქიტექტურის სინთეზში აისახებოდა, უკვე უარყოფილი იყო, სანატორიუმი «გელათი» აშკარად სტალინური არქიტექტურის ნიმუშია, აქ ნაციონალური მოტივი წამყვანია, შეიძლება ითქვას გადაჭარბებულიც კი არის, რაც გარკვეულ ხელოვნურობისა და ზედაპირულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ზედაპირულობა და ელემენტთა შემთხვევითი კავშირები, სტალინური არქიტექტურის, ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, რაც იდეოლოგიურ კონტექსტით იყო ნაკარნახევი.

დაზიანებების და გარკვეული სახეცვლის მიუხედავად, შენარჩუნებულია ობიექტის ძირითადი მახასიათებლები, სივრცითი-არქიტექტურული და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტები. შესაბამისად, სანატორიუმის თანამედროვე მოთხოვნებაზე მორგება აუცილებელია, თუმცა აუცილებელია ეს მოხდეს ფრთხილად, ობიექტის რესტავრაციის გზით.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

- აუცილებელია შენარჩუნებელი იყოს : სივრცით-არქიტექტურული კომპოზიცია, გეგმარება, სილუეტი, საფასადე დეკორი, ღია და დახურული სივრცეების თანაფარდობა, ინტერიერში შემორჩენილი ელემენტები.
- შიდა გეგმარების ცვლილება და თანამედროვე მოთხოვნებზე ადაპტირება დასაშვებია, თუმცა არამიზანშეწონილი საჯარო სივრცეების, მაგალითად ჰოლების დაყოფა-დანაწევრება.
- დაუშვებელია ობიექტზე დაშენება ან მიშენება;
- გადაუდებელი და სასწრაფოა ეზოში არსებული მოზაიკური პანოს კონსერვაცია / რესტავრაცია .

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს ღრმა ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.6. სანატორიუმი “თბილისი

მდებარეობა: ბარათაშვილის ქუჩაზე ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს სამი სანატორიუმი: “თბილისი”, “გეოლოგი” და “გელათი”. მდებარეობითა და აშენების თარიღით პირველი და ყველაზე ადრეული ამ სამ სანატორიუმს შორის არის სანატორიუმი “თბილისი”, ნ. ბარათაშვილის ქ. #2 ,

**მშენებლობის თარიღი : 1950 წლის 12 მარტი -1951 წლის 30 აპრილი.**
**მაქსიმალური სართულიანობა: 6**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

სანატორიუმში ფუნქციონირებდა სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები და ლაბორატორიები: ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, რენტგენის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური, მასაჟისა და სხვ. 1969 წელს სანატორიუმი (420საწოლით) მთლიანად სპეციალიზირდა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემით დაავადებულთათვის.

სანატორიუმის ტერიტორია ორ, თანაბარი ზომის, მონაკვეთად არის დაყოფილი. ერთი - ბარათაშვილის ქუჩის განაპირა ნაწილი, მთლიანად დათმობილი აქვს რეკრეაციულ ფუნქციას, აქ ოდესღაც კეთილმოწყობილი პარკი იყო, სხვადასხვა ჯიშის ნარგავითა და ყვავილების დეკორატიული თარგებით. მეორე, შედარებით მაღალ ნიშნულზე, სიღრმეში არსებულ ნაწილი, კი დათმობილი აქვს ნაგებობებს.

ბარათაშვილის ქუჩიდან სანატორიუმის შენობამდე მიემართებოდა ხეივანი, რომლის ბოლოს მორკალური, ორფრთიანი, ქვის კიბეა, კიბის მეშვეობით ვხდებით მოედანზე, ცენტრში მცირე ზომის აუზითა და სკულპტურით. სამწუხაროდ, შემორჩენილია მხოლოდ აუზის კონტურები. თავად მოედანი კი გარშემოვლებულია ბალიასინებიანი მოაჯირით. მოედანზე იხსნება შენობის ცენტრალური ნაწილი, მასთან მისასვლელად უნდა ავიაროთ ორმარშიანი კიბე, რომლის ორივე მხარეს განთავსებულია გრიფონების სკულპტურები.

თავად შენობა სამი ფლიგელისგან შედგება. ორი ერთიანობაში ქმნის V ფორმას, ცენტრალურ ნაწილში. შენობას უკანა მხრიდან ებჯინება მესამე, წაგრძელებული მართკუთხა, 1-2-სართულიანი ფლიგელი. ცენტრში მოწყობილია შიდა ეზო-პატიოთი.

მასშტაბური, დიდი მოცულობის, შენობა დამრეც ლანდშაფტზე დგას, მარჯვენა ფლიგელი ხუთ-, მარცხენა - 4 -, ცენტრალური ნაწილი კი - 6-სართულიანია.
არქიტექტურული კომპოზიცია შექმნილია სამი, ორი განაპირა და ერთი ცენტრში არსებული





რიზალიტისა და მათი შორის არსებული აივნებით გახსნილი მონაკვეთების კავშირებითა და კონტრასტებით.

შენობის უმეტესი ნაწილი გახსნილია შენობის ტანში ღრმად ჩასმული აივნების უწყვეტი რიგით, მათი დამუშავება განსხვავებულია: პირველ სართულზე შეისრული თაღედია, II-III სართულების აივნები გიგანტური ოთკუთხა სვეტებით არის გაერთიანებული. კაპიტელების გაფორმებაში გამოყენებულია მცენარეული ელემენტები და მასკარონები, IV სართულის ღიობების თავზე განთავსებულია მასკარონები, სვეტის თავები კი ქართული საერო ხუროთმოძღვრების სახასიათო ელემენტს, დედაბოძს მოგვაგონებს.
განსხვავებულად არის გადაწყვეტილი ცენტრალური რიზალიტი. ის შუა ნაწილში მორკალული, ჩაზნექილია. ღიობებითა და დეკორატიული ჩანართებით გაფორმებული. პირველი სართული რუხია და ღია ქვის დეკორატიული წყობით მოპირკეთებულ კედელში სამი შეისრული თაღია გაჭრილი. შენობას ასრულებს ბელვედერი.

იერსახის შექმნაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებების კონტრასტი, რაც ძლიერ სახასიათოა ზოგადად, საბჭოთა არქიტექტურისთვის. ჰორიზონტალური მიმართულება ხაზგასმულია მასიური, პროფილირებული კარნიზებით, აივნების უწყვეტი ხაზით, მოაჯირების ბალიასინების რიტმით, პირველი სართულის თაღედით, რუხი ფერის ქვის რუსტებით მოპირკეთებული ცოკოლის სართულით. ვერტიკალური კი - რიზალიტებით, პილასტრებით, პირველი სართულის თაღედის ფორმით, ცენტრალური ნაწილის კომპოზიციით. ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებებით “თამაში” ობიექტს განსაკუთრებულ, მისთვის სახასიათო დინამიკას სძენს.

სამწუხაროდ, შენობის მთავარი ფასადი საკმაოდ შელახულია, საფასადე დეკორის ელემენტები დაზიანებულია, გალერეებისა და აივნების ნაწილი ამოვსებულია, თუმცა საერთო სახე და ხასიათი შენარჩუნებულია.

შენობის უკანა ფასადი უფრო მარტივად, სადად არის გადაწყვეტილი, აქაც კომპოზიცია რიზალიტებითა და მათ შორის გადაჭიმული სიბრტყის მონაცვლეობით არის შექმნილი, თუმცა აქ შელესილი, შეღებილი კედლის სიბრტყეში გაჭრილია მარტივი, არქიტრავული ღიობები, დეკორატიული ელემენტები მინიმუმამდეა დაყვანილი. შენობის უკანა ფასადის დღევანდელი სახე 1963-1965 წწ რეკონსტრუქციის შედეგად არის მიღებული.

მესამე, ცენტრალური შესასვლელის ხაზზე არსებული ფლიგელი, ორ სეგმენტად არის გაყოფილი. ორსართულიანი ნაწილი, რომელშიც განთავსებულია დარბაზი და რომელსაც მთავარ ფლიგელთან აკავშირებს ერთსართულიანი, თაღოვანი ღიობებით დანაწევრებული, ღია ტერასითა და ბალუსტრადით დასრულებული მოცულობა, რომლის ცენტრში დორიული სვეტების რიგით გარშემორტყმული შიდა ეზოა მოწყობილი.

შენობის ეს ფლიგელი განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაშია, დაზიანებულია კარ-ფანჯარა, დეკორატიული ელემენტები, ინტერიერები, გავერანებულია ეზო, აქ არსებული სკულპტურა გამქრალია.

შელახულია ძირითადი ფლიგელის ინტერიერიც. თავდაპირველად სასტუმრო 100-ნომრიანი იყო, ისინი განლაგებული იყო კორიდორის მხოლოდ ერთ მხარეს. 1963-1965 წწ. ჩატარებული რეკონსტრუქციისას, შენობას უკანა მხრიდან მიუშენდა ახალი ნაწილი და ნომრები განთავსდა კორიდორის ორივე მხარეს, მათი რაოდენობა გაიზარდა 194 -ით.

საბჭოთა შენობების სპეციფიკას წარმოადგენს სივრცეების განაწილების თავისებურება. უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელი ფართები მცირეა, საჯარო, საერთო გამოყენებისთვის განკუთვნილი სივრცეები კი ვრცელი, დღევანდელი გადმოსახედიდან არარაციონალურად დიდიც კი. ეს კი განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის იდეოლოგიითა და ცხოვრების წესით, მეტად საერთო და კოლექტიური, ნაკლებად პირადი და კერძო. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შენობის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულ ჰოლებს, რომლებიც ყველა სართულზეა და გარშემორტყმულია დეკორატიულ კაპიტელებიანი სვეტებით, თითოეული სართულის სვეტები მოპირკეთებულია განსხვავებული ფერის ქვით.

მთლიანობაში შენობა წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის საინტერესო და ღირებულ ნიმუშს, სახასიათო არქიტექტრულ-სივრცითი გადაწყვეტით, გეგმარებით, საფასადე დეკორით. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ობიექტის არქიტექტორი ვ. ოლტარჟევსკი, რომელიც საბჭოთა კავშირში არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტის ავტორია.
ვიაჩესლავ ოლტარჟევსკი (1880-1966წწ.) არქიტექტურულ პროფესიას დაეუფლა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ წამყვან სასწავლო დაწესებულებაში -“მოსკოვის ხატვის, ქანდაკებისა და არქიტექტურის სასწავლებელში”, შემდეგ კი ვენის სამხატვრო სკოლაში, ოტტო ვაგნერთან.

სწავლის დასრულების შემდეგ ოლტარჟევსკიმ ინტენსიურად დაიწყო პროექტირება, მისი ძმის, გიორგისგან, განსხვავებით, რომელიც ასევე არქიტექტორი იყო. ის ძირითადად მუშაობდა არა საცხოვრებელ, არამედ საჯარო შენობებზე: მოსკოვის ე.წ. “მცირე რგოლის” (“малого кольца”), რკინიგზის სადგურები (ი. ივანოვ-შიცის ხელმძღვანელობით 1904-1908წწ.), ჩრდილოეთის სადაზღვეო საზოგადოების შენობა (თანაავტორები: მ. პერეტიატკოვიჩი, ი. გოლოსოვი, ი. რერბერგი), მოსკოვი, 1909-1911წ; “კიევის ვოგზალი” (თანაავტორები: ი. რერბერგი, ვ. შუხოვი, ს. ალიოშინი), მოსკოვი, 1914-1918წ. 1921-1923წწ; მუშაობდა ა. შუსევთან ერთად მოსკოვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე; 1924 წელს გაემგზავრა აშშ-ში თანამედროვე ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გასაცნობად, სადაც დაამთავრა ნიუ იორკის უნივერსიტეტი, გახდა “American Institute of Architects” წევრი, მუშაობდა Harvey Wiley Corbett-ის კომპანიაში, კითხულობდა ლექციებს კოლუმბიის უნივერსიტეტში. მას არაერთი ნაგებობა აქვს აშენებული ნიუ-იორკში, პენსილვანიაში, ნიუ-ჯერსიში, მას ეკუთვნის ნიუ ჯერსიში, კურორტ “სამეფო ფიჭვების (royal pines resort)» არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა (1926წ.), სასტუმრო “ royal pines” (1926წ.), საკურორტო კლუბი და სხვ. .

1935 წელს ვ. ოლტარჟევსკი დაბრუნდა სსრკ-ში და სათავეში ჩაუდგა 1937 წელს დაგეგმილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროექტირებას. რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელსაც უნდა აესახა “სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კოლექტივიზაციის მიღწევები” განთავსებული იყო 136 ჰექტარზე და გარდა 250 პავილიონისა და სხვა ტიპის ნაგებობებისა, უნდა განთავსებულიყო პარკები, ტბები, ორანჟერეა. რიგი მიზეზის გამო, გამოფენა ვერც 1937 და, ვერც 1938 წელს დასრულდა, რის გამოც მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები 1939 წელს დააკავეს “ანტისაბჭოთა, მავნებლური ორგანიზაციის წევრობის” ბრალდებით. ოლტარჟევსკი დახვრეტას გადაურჩა, ის ვარკუტაში გადაასახლეს, სადაც ასევე ეწეოდა არქიტექტურულ საქმიანობას. 1942 არქიტექტორი გაათავისუფლეს და მოსკოვში დაბრუნების უფლება მისცეს. მოსკოვში მისი პროექტით აიგო: სასტუმრო “უკრაინა” (თანაავტორი: ა. მორდვინოვი), მოსკოვი 1947-48წ; ლატვიის მეცნიერებათა აკადემია, რიგა. 1957 და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მოსკოვის ცენტრალურ უნივერმაღს (ЦУМ) , 1954წ.

რაც შეეხება ბ. სობოლევსკის, მას ეკუთვნის: რესტორან “პრაღის” რეკონსტრუქცია,





მოსკოვი,1956წ.; უნივერმაღი “მოსკოვი” (თანაავტორები: ი. პერესვეტოვი, ლ. ლიახოვი. ო. სერგეევი) ,1963წ.; ცენტრალური უნივერმაღი “აი-ჩურაკ”, ფრუნზე, 1974წ.; რკინიგზის სადგური სოჩაში ( არქიტექტორი ა. დუშკინი, თანაავტორი: ბ სობოლევსკი, გ. აკვილევი).

**რეკომენდაციები პირველად მონაცემებზე დარდნობით:**

ობიექტის მაღალი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს მისი რესტავრაცია და ყველა ძირითადი მახასიათებლის შენარჩუნება.

· აუცილებელია შენარჩუნდეს ობიექტის ძირითადი კონტური და გეგმარებითი სტრუქტურა;
· არქიტექტურული კომპოზიცია: რიზალიტებისა და მათ შორის “ჩაგდებული” სიბრტყეების მონაცვლეობა - დაუშვებელია რაიმე ფორმით შეივსოს და დაირღვეს სიბრტყეების მონაცვლეობის რიტმი;
· ცენტრალური და შენობის დანარჩენ ნაწილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა, ეს ობიექტის ძირითადი აქცენტი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია - შესაბამისად არამიზანშეწონილია შენობაზე დაშენება;
· საფასადე დეკორი: სვეტების, პილასტრები, მასკარონები, “საჭექი ქვები”რელიეფური ჩანართები, პროფილირებული კარნიზები. აუცილებელია მოხდეს არსებული ელემენტების რესტავრაცია;
· უკანა ფლიგელის ერთსართულიანი მოცულობის არქიტექტურული გადაწყვეტა: სართულიანობა, ღია ტერასა, ბალუსტრადა, სვეტნარი, ღია ეზო- მიზანშეწონილია აღდგეს ღიობთა თანადროული ალათები;
· შესაძლებლად მიმაჩნია, ამავე ფლიგელის ორსართულიან მონაკვეთის მოდერნიზაცია, მიდგომად სასურველია შერჩეული იყოს “ადაპტაციური განახლების” მეთოდი, რაც გულისხმობს მოდერნიზაციის პირობებში არსებული ღირებული ელემენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენარჩუნებას და რესტავრაციას. სასურველია, შენარჩუნებული იყოს საჯარო ფუნქცია;
· დაუშვებელია ცენტრალურ მონაკვეთში, არსებული ჰოლების დანაწევრება, რესტავრაცია ესაჭიროება ჰოლებში განთავსებულ სვეტებს;
· დასაშვებათ მიმაჩნია შიდა გეგამრების შეცვლა და თანამედროვე საჭიროებებზე ადაპტირება, მაგ.სანატორიუმის ნომრების მოცულობის გაზრდა, თუმცა არა მათ წინ არსებული გალერეების შემინვა/ამოშენების გზით.
· აუცილებელია შენარჩუნდეს ინტერიერში შემორჩენილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებული ელემენტები;
· რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს და თავდაპირველი სახით აღდგეს კიბეები, როგორც ინტერიერში ასევე ექტერიერში.
· სასურველია შენარჩუნებული იქნას ტერიტორიის გამოყენების თავისებურება, ქუჩისპირა ვრცელი ნაწილის რეკრეაციულ ზონად მოხმარება, სიღრმეში არსებული ტერიტორიის კი სამშენებლოდ.
· შესაძლებლად მიმაჩნია ძველი საქვაბის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი თუმცა არა მსხვილი მასშტაბის მოცულობის გაჩენა
· ზოგადად, დამატებითი ფართის საჭიროების შემთხვევაში, არასასურველია არსებულ შენობაზე მიშენება-დაშენება, უმჯობესია ცენტრალური ობიექტისგან განცალკევებით აიგოს ახალი მოცულობას, თუმცა დაუშვებელია მას ქონდეს მსხვილი მასშტაბი, ფარავდეს და ხელს უშლიდეს ძირითადი ობიექტის აღქმას ან რაიმე სახით არღვევდეს და ცვლიდეს მის სივრცით-არქიტეტურულ კომპოზიას.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.7. სანატორიუმი „რკინიგზელი“

**მდებარეობა : წყალტუბი. ქუჩა რუსთაველი , N 51**
**მშნებლობის თარიღი : 1948-1954**
**მაქსიმალური სართულიანობა: 5**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

სსრკ გზათა სამინისტრომ 250 საწოლზე გათვლილი, სანატორიუმი “რკინიგზელის” მშენებლობა 1948 წელს დაიწყო, არქიტექტორების: ვ.ვეკილოვას, ნ.პოჩეპცოვას, პროექტის მიხედვით.ექსპლუატაციას კი ის 1954 წლის 15 მაისს შევიდა.

სანატორიუმი, რომლსაც 1965 წლიდან კარდიოლოგიური პროფილი მიენიჭა, აღჭურვილი იყო : კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, რენტგენის, ფიზკულტურის, მასაჟის, სტომატოლოგიური და სხვ. კაბინეტით.

„რკინიგზელის“ მძლავრად წაგრძელებული, 5 სართულიანი, მონუმენტური, პომპეზური შენობა პარკის სიახლოვეს, მთავარი წრიული ქუჩის გადმოღმა, შემაღლებულ ბაქანზე არის განთავსებული. ის კარგად იკითხება კურორტის თითქმის ყველა წერტილიდან, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ცნობადობას სძენს.

130 მეტრიანი, მორკალული ობიექტის ქუჩისკენ მიმართული ფასადის გადაწყვეტაში მკაფიოდ იკითხება „საბჭოთა კლასიციზმის“ მახასიათებლები. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებების კონტრასტი, კლასიკური და ნაციონალური არქიტექტურული მახასიათებლების სინთეზი. ორი, განაპირა რიზალიტი აქცენტირებულია პორტიკებით და მე-2 და მე-3 სართულზე გიგანტური მრგვალი, კორინთული სვეტებით გაერთიანებული აივნებით, მათ შორის არსებული გრძელი მონაკვეთი, შენობის ტანში ღრმად ჩასმული აივნებით იხსნება. კომპოზიციური ცენტრი შენობის მარჯვენა, ჩრდილოეთ ნაწილშია გადატანილი სადაც მოწყობილი ცენტრალური შესასვლელი, რუხი რუსტებით მოპირკეთებული ორმხრივი კიბით, ტორცოზე კი მაღალი კოშკია დამატებული. რუხი ქვის რუსტებით არის დაფარული ქუჩიდან სანატორიუმის ბაქნამდე მოსასვლელი კიბე და თავად შენობის ცოკოლი და პირველი სართული. რუხ რუსტებს ზედა სართულებზე გლუვი მოყვითალო ფერის ქვა ცვლის. კედლის სიბრტყე მეტ წილად არქიტრავული ღიობებით არის დანაწევრებული, გამონაკლისი მხოლოდ ბოლო, მეხუთე სართულის თაღოვანი ღიობებია. შენობის ძირითად ფლიგელს მარჯვენა მხრიდან დამატებული აქვს , იმავე სტილში გადაწყვეტილი სამ სართულიანი მოცულობა, რომელიც შიგნით არის შეწეული, ისე რომ მან არ დაფაროს აქ განთავსებული კოშკის ტანი.

სანატროორიუმის ეზოში გამავალი ფასადი ძუნწად არის დამუშავებული. კედლის სიბრტყე სადად შელესილი, შეღებილია და ძირითადად, სწორკუთხა, მეხუთე სართულზე კი, თაღოვანი სარკმლებით არის დანაწევრებული.

ინტერიერი დეგრადირებულია, შემორჩენილია პირველ სართულის ფოიე სხმული მოზაიკით, სვეტებით, ავთენტური კიბით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა სანატორიუმს შენარჩუნებული აქვს ძირითადი მახასიათებლები. სანატორიუმი „რკინიგზელი“ კურორტის მნიშვნელოვანი და ფასეული ობიექტია. მისი სტალინური ეპოქისთვის სახასიათო მონუმენტური, პომპეზური, მდიდრული, უხვად დეკორირებული არქიტექტურა სხვა ობიექტებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს კურორტის საერთო ხასიათს.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

- შესაბამისად აუცილებელია ობიექტის რესტავრაცია მისი დაგეგმარების სტრუქტურის, მასშტაბის, ხასიათის, სილუეტის, იერსახის, და სხვა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით.
- დაუშვებელია შენობაზე დაშენება;
- დაუშვებელია ცენტრალური ზონის აივნების შევსება (შემინვა, ამოშენება...)
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს ინტერიერში, დამატებითი კვლევის შედეგად გამოვლენილ ღირებულ ელემენტებს;
- სრულად უნდა მოხდეს საფასადე დეკორის რესტავრაცია;
- შესაძლებელია გვერდითი, სამ სართულიანი ფლიგელის რეკონსტრუქცია და მისი მომიჯნავედ დამხმარე , დეგრადირებული ფართის ახალი მოცულობით ჩანაცვლება, თუმცა ობიექტის მასშტაბი, სიმაღლე და არქიტექტურული გადაწყვეტა ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული, ისე რომ მან პრობლემა არ შეუქმნას არსებული შენობის მთლიანობას და მის აღქმას.
- დასაშვებად მიმაჩნია შიდა გეგმარების ცვლილება, თუმცა აუცილებელია გააზრებულ და იდენტიფიცირებული იქნას გეგმარების ხასიათი და ფასეულობა, მხოლოდ მისი გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით მოხდეს ცვლილება.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს ღრმა ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.8. სანატორიუმი „ აია“

**მშენებლობის თარიღი : 1970-1985 წელი**
**მაქსიმალური სართულიანობა: 7**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

250 საწოლზე გათვლილი სანატორიუმ „აიას“ მშენებლობა 1970- 1985 წლებში მიმდინარეობდა. გვიანი მოდერნიზმის სტილის შენობა, რომლის არქიტექტორი პ. ქუფრაშვილი, თანაავტორები კი პ. კახაშვილი, ც. ქუფარაშვილი, მ. ჩუტკერაშვილი არიან, მდებარეობს კურორტის სამხრეთ- აღმოსავლეთით, შემაღლებულ ადგილზე.

რთული კონფიგურაციის მქონე ობიექტი რამდენიმე ფლიგელისგან შედგება. კომპოზიციურ და გეგმარებით ცენტრს წარმოადგენს წაგრძელებული ექვსსართულიანი კორპუსი, რომლის ზედა ხუთი სართული გახსნილია აივნის უწყვეტი სარტყლით. ყველა სართულის ბოლოს განთავსებულია სამკუთხა ფორმის ვერანდა. შენობის გადახურვა ბრტყელია, სახურავზე მოწყობილია საჩრდილობელი, აქ განთავსებული იყო აეროსოლარიუმი. შენობის პირველი სართული მოპირკეთებულია გრანიტით, დანარჩენი კედლის სიბრტყე კი თეთრი ქვით. განსაკუთრებული სახით არის დამუშავებული ტორცის, ვიწრო ფასადი. მას სამკუთხა მოხაზულობა აქვს და აქცენტირებულია ასეთივე მოხაზულობის ვერანდებით. ვერანდების უკან კედელი მოპირკეთებულია მწვანე ქვით.

საძილე კორპუსის მარჯვენა მხარეს განთავსებულია 2-3-სართულიანი ადმინისტრაციული კორპუსი, რომელშიც მდებარეობდა: კლუბი, ბიბლიოთეკა და ბარი. ადმინისტრაციული კორპუსის ერთი ნაწილი გაფორმებულია მოზაიკური პანოთი. მარცხენა მხარეს, სამკურნალო კორპუსი, რომელიც გარს უვლის შიდა კვადრატულ ეზოს.

სანატორიუმი „აია“ ქართული გვიანი მოდერნიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღირებული არქიტექტურული ობიექტია, რომლის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს მისი გეგმარება, მოდერნისტული ობიექტებისთვის სახასიათო სეგმენტაცია - სხვადასხვა ფუნქციისთვის განკუთვნილი ფლიგელები განსხვავებულად არის გადაწყვეტილი - არქიტექტურული პლასტიკა და დინამიკა, ლაკონიური, გეომეტრიული ფორმები.

**რეკომენდაციები პირველად მონაცემებზე დაყრდნობით:**

შესაბამისად, აუცილებელია ობიექტის რესტავრაცია მისი დაგეგმარების სტრუქტურის, მასშტაბის, ხასიათის, სილუეტის, იერსახის, და სხვა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით. საძილე, ადმინისტრაციული და სამკურნალო კორპუსი სრულად უნდა შენარჩუნდეს და ადაპტირდეს თანამედროვე მოთხოვნებთან. დაუშვებელია არქიტექტურული კომპოზიციის დარღვევა, რაც დიდწილად აისახება სხვადასხვა გეგმარების, ფორმისა და არქიტექტურული გადაწყვეტის მქონე ფლიგელებსა და ფლიგელების ურთიერთმიმართებაში.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.9. საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისადაფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი

მდებარეობა: ჭავჭავაძის ქ. 1, სულხან-საბას, ჭავჭავაძის, დედაენისა და რუსთაველის ქუჩებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე სამი სანატორიუმი მდებარეობს: "სავანე", "სამგურალი" და "სანატორიუმი 1", იგივე -"ფილიალი".

**მშენებლობის თარიღი : 1939**
**მაქსიმალური სართულიანობა: 3**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

საქ. ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს კლინიკური სანატორიუმი თავდაპირველად 75 საწოლზე იყო გათვლილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საწოლების რაოდენობა 120-მდე გაიზარდა, 1950 წლიდან კი აქ განთავსდა საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი. თავდაპირველად ფილიალს ჰქონდა სამი კლინიკური განყოფილება : თერაპიული, ნევროგოლიური და გინეკოლოგიური. 1957 წელს დამატებით შეიქმნა ბავშვთა კლინიკური განყოფილება, 25 საწოლით. ინსტიტუტში ფუნქციონირებდა: ფიზიოთერაპიული განყოფილება, ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორია, ექსპერიმენტული ლაბორატორია ვივარიუმით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ჰორმონული ლაბორატორიები და დამხმარე კაბინეტები.

"ინსტიტუტის ფილიალში ჩატარებულ მეცნიერულ ძიებათა საფუძველზე წყალტუბოში მკურნალობის ჩვენებასა და წინააღმდეგ ჩვენებაში მრავალი არსებითი კორექტივი იქნა შეტანილი. კვლევები, რომელზე დაყრდნობით ცვლილებები შედიოდა...ფილიალის მიერ





გამოცემულია შრომათა კრებულები, მრავალი მონოგრაფია, ბროშურა"-[ო. შავიანიძე ;"კურორტ წყალტუბო" 1973წ. ;გვ.57 ]

ობიექტი 1939 წელს არის აგებული არქიტექტორ ვ. კოლჩინის პროექტის მიხედვით. სამსართულიანი შენობა სანატორიუმის კუთვნილი ეზოს ცენტრშია განთავსებული, მას П გეგმარება აქვს და სულხან-საბას ქუჩისკენ იხსნება კურდონერით. დასავლეთის მკლავი გადასასვლელით უკავშირდება სასადილოს ერთსართულიან მოცულობას.
ფასადების გარეგნულ იერს დიდწილად განაპირობებს განსხვავებული სიმაღლისა და სხვადასხვა სიბრტყეზე განთავსებული არქიტექტურული მოცულობების თამაში და მათი ამ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებების მონაცვლეობით შექმნილი დინამიკა. ობიექტი ზომიერად არის გაფორმებული დეკორატიული ელემენტებით. განსაკუთრებით არის დამუშავებული სამხრეთი ფასადი და სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ფასადი. სამხრეთის ფასადი ფლანკირებულია პორტიკებით აქცენტირებული რიზალიტებით, მათ შორის არსებულ მონაკვთს კი, სამივე სართულზე გასდევს ღია გალერეა-აივანები. პირველი სართული გალერეა თაღედის სახით არის გადაწყვეტილი.

რიზალიტებს შორის გადაჭიმული მონაკვეთის გალერეების უწყვეტი ზოლი და ფენესტრაცია ხაზს უსვამს ჰორიზონტალურ სწრაფვას, რასაც აბალანსებს რიზალიტების ვერტიკალი პორტიკებითა და ორი სართულის გამაერთიანებელი დიდი ორდერი. ფასადებზე გამოყენებულ სვეტების და პილასტრების დამუშავებისას მოტივები ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებიდან არის ნასესხები.
სამხრეთ ფასადის მარცხენა რიზალიტი უფრო ღრმაა და რამდენიმე სიბრტყედ დანაწევრებული, პორტიკის ზემოთ, მესამე სართულზე დეკორატიული თაღებით გაერთიანებული სამი თაღოვანი სარკმლით შექმნილი კომპოზიციაა. რიზალიტს ასრულებს პროფილირებული კარნიზი და მის ზემოთ თაღედი. ანალოგიური კომპოზიცია გრძელდება დასავლეთ ფლიგელის კუთხეზეც, სადაც მოწყობილია ცენტრალური შესასვლელი კიბე. დასავლეთ და სამხრეთ ფლიგელების ამ განაპირა, თითქმის იდენტურად გადაწყვეტილი, რიზალიტებით შექმნილი კომპოზიცია, შენობის არქიტექტურული კომპოზიციის ცენტრია და ის დიდწილად განაპირობებს შენობის იერს. დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადები, მარტივი სწორკუთხა, უნაპირო ღიობებით დანაწევრებული სიბრტყეებიც, რიზალიტებით არის ფლანკირებული. დასავლეთ ფასადის ძირითადი დეკორატიული ელემენტი მეორე და მესამე სართულის გამაერთიანებელი პილასტრებია, აღმოსავლეთ ფასადს კი მეორე და მესამე სართულზე აივნების უწყვეტი ზოლი გასდევს. შედარებით ძუნწად არის დამუშავებული კურდონერის ფასადები, თუმცა აქაც ვხედავთ სიბრტყეებით "თამაშს".

ობიექტის არქიტექტურული კომპოზიცია სადა, მარტივი და ლაკონიურია, "სოციალისტური კლასიციზმის" მოთხოვნების შესაბამისად, ფასადი გამდიდრებულია რუსტებით, პილასტრებით, ორდერით, კარნიზებით, თუმცა აშკარად შეინიშნება კონსტრუქტივიზმისთვის სახასიათო გეომეტრიულობა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით შექმნილი არქიტექტურული დინამიკა. აღნიშნული მახასიათებლები ობიექტს მიაკუთვნებს არქიტექტურულ სტილს -კონსტრუქტივიზმს ან პოსტკონსტრუქტივიზმს (სტილის ზუსტი იდენტიფიკაციისთვის საჭიროა უფრო საფუძვლიანი კვლევა).

პოსტკონსტრუქტივიზმი ეს არის 1932-37 წლებში ჩამოყალიბებული და გავრცელებული შუალედური სტილი, რომელიც ერთი არქიტექტურული სტილიდან, კონსტრუქტივიზმიდან (რომელიც საბჭოთა კავშირში გავრცელებული იყო 1917-1932 წლებში), მეორეზე, „სოციალისტურ კლასიციზმზე" (1937-1954) გადასვლამ წარმოქმნა. ამ პერიოდის არქიტექტურის მიზანია, არქიტექტურის ზომიერად "გამდიდრების" მცდელობა და "ზედმეტი ასკეტიზმის" დაძლევა. პოსკონსტრუქტივისტული არქიტექტურა ინარჩუნებს კონსტრუქტივიზმისთვის სახასიათო მოცულობით-სივრცით სტრუქტურას, ფორმათა ლაკონიურობას, მოცულობებით თამაშს, ხაზობრიობას, სადა კედლის სიბრტყეს. ამავდროულად, არქიტექტურა "მდიდრდება" კლასიკური არქიტექტურის ელემენტებით. მარტივი პროფილის კარნიზით, ღიობთა მოჩარჩოებით, ორდერით, პლასტიკური ელემენტებით...

პოსტკონსტრუქტივიზმმა, მიუხედავად არსებობის მოკლე პერიოდისა, შექმნა საინტერესო, განსხვავებული და მნიშვნელოვანი არქიტექტურული ობიექტები. ეს იყო სტილი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის ფარგლებში, კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა ის გამოძახილს პოულობს, ამავე პერიოდში, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ტენდენციებთან. სამწუხაროდ, საქართველოში პოსტკონსტრუქტივისტული ობიექტები ბევრი აღარ არის შემორჩენილი, რაც შეეხება, წყალტუბოს აქ მსგავსი ობიექტი ერთადერთია. შესაბამისად, საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის შენობას აუცილებელია მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და ჩაუტარდეს რესტავრაცია.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

დაზიანებებისა და გარკვეული სახეცვლის მიუხედავად, შენარჩუნებულია ობიექტის ძირითადი მახასიათებლები, სივრცით-არქიტექტურული და არქიტექტურულ - მხატვრული გადაწყვეტები.
შესაბამისად, მნიშვნელოვანია სანატორიუმის თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება, თუმცა აუცილებელია, შენარჩუნებული იქნას მისი ძირითადი მახასიათებლები:

- გეგმარებითი თავისებურება - აუცილებელია შენარჩუნდეს ობიექტის ძირითადი კონტური და გეგმარებითი სტრუქტურა;
- არქიტექტურული კომპოზიცია: რიზალიტებისა და მათ შორის "ჩაგდებული" სიბრტყეების მონაცვლეობა - დაუშვებელია რაიმე ფორმით შეივსოს და დაირღვეს სიბრტყეების მონაცვლეობის რიტმი;
- ძირითად კორპუსში სიმაღლეთა სხვაობებით შექმილი კომპოზიციური აქცენტები - არამიზანშეწონილია შენობაზე დაშენება;
- არქიტექტურლი ხასიათი : ბალანსი კონსტრუქტივიზმის მეთოდებს და სტალინური არქიტექტურული მახასიათებლებს შორის - არამიზანშეწონილია რაიმე სახის დეკორატიული ელემენტების დამატება;
- აუცილებელია ფასადების რესტავრაცია;
- აუცილბელია აღდგეს ღიობები პირვანდელი სახით;
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს ექსტერიერში არსებულ კიბეებს;
- აუცილებელია შენარჩუნდეს ინტერიერში შემორჩენილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებული ელემენტები;
- სასურველია შენარჩუნებულ იქნეს სასადილო/რესტორნის ერთსართულიანი მოცულობა.;
- შესაძლებელია შიდა გეგმარების ცვლილება და ობიექტის ადაპტაცია ახალ ფუნქციაზე, თუმცა აუცილებელია გააზრებულ და იდენტიფიცირებული იქნეს გეგმარების ხასიათი და ფასეულობა, მხოლოდ მისი გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით მოხდეს ცვლილება;
- შესაძლებლათ მიმაჩნია სანატორიუმის ძირითადი კორპუსისა და რესტორნის ტერიტორიაზე არსებული სხვა მცირე მასშტაბიანი ობიექტების/ტრანფორმატორი, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი სახლი/ დემონტაჟი მათ ადგილზე ახალი, თუმცა არა მსხვილი მასშტაბის მოცულობის გაჩენა;
- ახალი მოცულბის საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია ის დაშორებული იყოს ძირითადი ობიექტისგან. ახალი მშენებლობის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს ისტორიული შენობის მახასიათებლები. დაუშვებელია რაიმე ფორმით მას შეექმნას ფიზიკური ან/და ვიზუალური საფრთხე;
- დაუშვებელია ახალი მოცულობა , რაიმე ფორმით დომინირებდეს ისტორიულ შენობაზე;

**არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.კვლევას.**







## 2.4.10. სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სანატორიუმი „წყალტუბო" / სტალინის აგარაკი

**მდებარეობა: ქალაქი წყალტუბო , ქუჩა სამაკაშვილი N 10**
**მშენებლობის თარიღი : 1940**
**მაქსიმალური სართულიანობა: 3**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

110 საწოლზე გათვლილი სანატორიუმი "წყალტუბო" (სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სანატორიუმი) 1940 წელს აიგო არქიტექტორ ნ. პ. სევეროვის პროექტით. მდებარეობს გორაკზე, სოფ. გვიშტიბის დასაწყისში. სანატროიუმის ვრცელ ტერიტორიაზე რამდენიმე ობიექტი დგას: სანატორიუმი, სტალინის სააგარაკე სახლი და მის მიმდებარედ სამი სააგარაკე რეზიდენცია, მცირე ზომის კლუბი/კინოთეატრი, საზაფხულო ღია თეატრი, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი მომსახურე პერსონალისთვისა და სხვა დამხმარე და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

სანატორიუმის ვრცელ ტერიტორიაზე შენობები ორ ლოკაციაზეა კონცენტრიებული. ერთი ეს არის ცენტრალური, შემაღლებული ნაწილი, სადაც მდებარეობს სტალინის სააგარეკე სახლი და მის გარშემო არსებული რამდენიმე ობიექტი. მეორე კი - გზისპირა ტერიტორია, სადაც მთავარი ობიექტი წაგრძელებული გეგმარების, ორსართულიანი, კლასიცისტური იერის მქონე სანატორიუმი "წყალტუბოა".

ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, საინტერესო და მნიშვნელოვანია სტალინის სააგარაკე სახლი და მის გარშემო განთავსებული ობიექტები.

02

სტალინის სააგარაკე სახლი წაგრძელებული გეგმარებისაა, სიმეტრიული კომპოზიციით. შენობის ცენტრალური ნაწილი ორ, განაპირა მონაკვეთები კი ერთსართულიანია. მთავარი ფასადი, რომელიც ნაწილობრივ სვეტებიანი გალერეით არის გახსნილი, კონცხისკენ არის მიმართული, აქედან შესანიშნავი ხედი იშლება. მთლიანად შენობა, შეიძლება ითქვას, ასკეტური იერით იქცევს ყურადღებას. არქიტექტურულ გადაწყვეტაში ჭარბობს კლასიკური არქიტექტურის მოტივები, თუმცა იკითხება გარკვეული კონსტრუქტივისტული ნიუანსებიც.

სახლის სიახლოვეს დგას მცირე, ერთსართულიანი შენობა - კინოთეატრი. შენობის ფასადის გაფორმება აქაც ძუნწი, ასკეტურია - სადად შელესილი, შეღებილი კედლის სიბრტყე დანაწევრებულია დეკორატიულ კრონშტეინებზე ბჯენილი თაროებით აქცენტირებული არქიტრავული ღიობებით.

აქ არსებული რამდენიმე ობიექტიდან ასევე ყურადღებას იმსახურებს ორი, სავარაუდოდ, ასევე საცხოვრებელი ფუნქციის ობიექტი, რომელთაგან ერთი შედარებით დიდი ზომისაა. მეორე, უფრო ქვემოთ, გზის პირზე არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულ, რამდენიმე ობიექტს შორის გამოირჩევა წაგრძელებული გეგმარების, ორსართულიანი, კლასიცისტური იერის მქონე სანატორიუმ "წყალტუბოს" მთავარი კორპუსი. ძირითადი შესასვლელი და შენობის კომპოზიციური ცენტრი, ტორცის ვიწრო ფასადზეა მოწყობილი, შენობის ეს ნაწილი ორივე სართულზე გახსნილია სვეტებიანი აივნებითა და დასრულებულია ფრონტონით.

სანატორიუმის ყველა ობიექტის მდგომარეობა სავალალოა, მათი დიდი ნაწილი დანგრეული ან დანგრევის პირასაა. შესაბამისად, აუცილებელია ღირებულ ობიექტებზე სასწრაფოდ განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები, რაც ნაწილობრივ მაინც შეაჩერებს ობიექტების განადგურების პროცესს.

**რეკომენდაციები პირველად მონაცემებზე დაყრდნობით:**

შესაბამისად, სანატორიუმის თანამედროვე მოთხოვნებიზე მორგება აუცილებელია, თუმცა აუცილებელია შენარჩუნებული იქნას:

- აუცილებელია სრულად შენარჩუნდეს და რესტავრაცია ჩაუტარდეს სტალინის აგარაკს და კინოთეატრს, რესტავრაცია/ რეკონსტრუქცია/ ადაპტაციაა დასაშვები საცხოვრებელი ფუნქციის ორ ობიექტზე;
- აუცილებელია სტალინის აგარაკი და მის გარშემო არსებული ობიექტები განხილული იყოს, როგორც არქიტექტურული ანსამბლი და მათზე ჩარევა დაგეგმილი იყოს ამ მოცემულობის გათვალისწინებით, კომპლექსურად;
- შესანარჩუნებელ და დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს სანატორიუმი "წყალტუბოს" შენობა. აუცილებელია მისი რესტავრაცია და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირება.
- აუცილებელია დასაცავ ობიექტებში შენარჩუნდეს ინტერიერში შემორჩენილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებული ელემენტები;
- სასურველია შენარჩუნებული იქნას ტერიტორიის დიდი ნაწილის რეკრეაციულ ფუნქცია;
- შესაძლებლად მიმაჩნია სანატორიუმის ტერიტორიაზე არსებული სხვა მცირე მასშტაბის ობიექტების დემონტაჟი მათ ადგილზე ახალი, თუმცა არა მსხვილი მასშტაბის მოცულობის გაჩენა.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას. კვლევას.**







# 2.4.11. სანატორიუმი „წყალტუბო"

**მდებარეობა : წყალტუბო. რუსთაველის ქუჩა 49**
**მშნებლობის თარიღი : 1931**
**მაქსიმალური სარ თულიანობა: 3-4**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

100 საწოლზე გათვლილი სანატორიუმი- „წყალტუბო" რამდენიმე კორპუსისგან შედგება. პირველი, გზისპირა კორპუსი, 1936 წელს აიგო ცნობილი არქიტექტორის, მ.ვ. ბუზოღლის, მიერ. აქ 1952 წლამდე განთავსებული იყო საკურორტო სასტუმრო, 1953 წ-ს კი გადაეცა საქ. ჯანდაცვის მეოთხე სამმართველოს. 1967 და 1971 წლებში სანატორიუმს დაემატა ლ. გიორგაძის მიერ დაპროექტებული მეორე და მესამე კორპუსები.

1936 წელს აგებული ობიექტი თავდაპირველად L მოხაზულობის გეგმარება ჰქონდა და ორი ნაწილისგან შედგებოდა, სამსართულიანი ძირითადი კორპუსი და ცენტრალური შესასვლელის მარცხნივ არსებული, ერთსართულიანი სასადილო/რესტორანი. 1958 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციისას სასადილოს დაემატა მეორე სართული, ამავე პერიოდში აშენდა ეზოში არსებული სამკურნალო კორპუსი. სავარაუდოდ, ამ დროს შეიცვალა გეგმარებაც (ამ ეტაპზე ძირითადი კორპუსი П მოხაზულობისაა).

ძველი კორპუსის ფასადების კომპოზიცია მსგავსია, განაპირა შელესილი, შეღებილი და მარტივი მართკუთხა სარკმლებით დანაწევრებულ მონაკვეთებს შორის, სამივე სართულზე გადაჭიმულია შენობის ტანში ღრმად ჩასმული აივნების უწყვეტი ზოლი. პირველი და მეორე სართულის აივნები გაერთიანებულია დიდი ზომის, ყოველგვარ დეკორს მოკლებული, წახნაგოვანი სვეტებით. მესამე სართულის აივნების მრგვალი სვეტები სადაა, დეკორისა და ორდერისთვის დამახასიათებელი ელემენტების გარეშე. განსხვავებულად არის დამუშავებული რესტორნის მომიჯნავე, განაპირა მონაკვეთი, აქ ცენტრალური შესასვლელია მოწყობილი. შენობის ეს ნაწილი მოჩარჩოებულია ლესვაში გამოყვანილი რუსტებით, დასრულებულია ფრონტონით, მეორე და მესამე სართულზე გახსნილია აივნები, თუმცა სვეტები აქ მეტად არის დამუშავებული და სუსტად , მაგრამ

მაინც, იკვეთება ბაზისი და სვეტის თავი. მეორე სართულის სვეტებს ზემოთ თაღია, რომელსაც გარს შემოუყვება საკმაოდ სქელი, ვარდულებით გაფორმებული დეკორატიული სარტყელი.

მთლიანობაში სანატორიუმის ეს კორპუსი მკაფიო, ლაკონიურ ფორმებს, დეკორატიულ ელემენტებს, სიძუნწით, მინიმალიზმით კონსტრუქტივიზმის მახასიათებლებს შეიცავს. ამავდროულად უკვე ჩნდება დეკორატიული ელემენტები, მათ მეტად ნაციონალური ელფერი რომ ჰქონდეთ, ობიექტს ცალსახად ქართულ კონსტრუქტივიზმს მივაკუთვნებდით, რადგან ჩვენში ხომ მოდერნისტული არქიტექტურის ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციული ელემენტებით გაზავება ჩვეული ხერხია, ამის მაგალითი ხშირია და მათ შორის მ. ვ. ბუზოღლის შემოქმედებაშიც (მაგ. თბილისი. კინოსტუდია "ქართული ფილმი"). სანატორიუმ "წყალტუბოში" კი გამოყენებული დეკორი კლასიკური არქიტექტურიდან არის ნასესხები, რაც შესაძლებელია 1932 წელს არქიტექტურის ახალი გზების ათვისებით, მოდერნიზმიდან კლასიკურ არქიტექტურაზე გადასვლითაა გამოწვეული.

ცენტრალური შესასვლელის მარცხნივ, სასადილოს კორპუსის ძველ ფოტოებზე, ჩანს, რომ ის ერთსართულიანი იყო. 1958წ. სანატორიუმი გაფართოვდა: აიგო პოლიკლინიკა, სასადილოს დაემატა მეორე სართული, "დამშვენდა" სვეტებიანი პორტიკით. ინტერიერში შემორჩენილია კედლის მხატვრობა, მ. ზიჩის მიერ შესრულებული "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები. ამავე პერიოდში აიგო ეზოში არსებული პოლიკლინიკის ორსართულიანი გრძელი კორპუსი, რომელსაც მთავარ ობიექტთან დახურული გადასასვლელი აკავშირებს. 1967 და 1971 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა ლ. გიორგაძის დაპროექტებული მეორე და მესამე კორპუსის ახალი სამსართულიანი შენობები. ობიექტები ეზოს სიღრმეში არის განთავსებული. მეორე კორპუსი პოლიკლინიკისგან დასავლეთით, მისგან დაახლოებით ხუთ მეტრშია და მას მრუდხაზოვანი გადასასვლელით უკავშირდება. მესამე კორპუსი კიდევ უფრო ღრმად არის შეწეული ეზოში. მეორე და მესამე კორპუსი ერთმანეთს ხიდით უკავშირდება. მათი ფასადების გადაწყვეტა მარტივია, ყოველგვარ დეკორს მოკლებული კედლის სიბრტყე მოპირკეთებულია ღია ფერის ქვით, დიდი ნაწილი გახსნილია აივნებით. ხიდებითა და გადასასვლელებით დაკავშირებული ეს მარტივი, ლაკონიური ობიექტი გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის მაგალითია.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

- აუცილებელია სანატორიუმის პირველი, 1936 წელს აშენებული ობიექტის რესტავრაცია , დაგეგმარების სტრუქტურის, მასშტაბის, სილუეტის, იერსახის და სხვა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნება.რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს ინტერიერში, დამატებითი კვლევის შედეგად გამოვლენილ ღირებულ ელემენტებს; სასადილოში არსებულ მხატვრობას.
- დაუშვებელია შენობაზე დაშენება;
- დაუშვებელია აივნების შევსება (შემინვა, ამოშენება...)
- დასაშვებია შიდა გეგმარების ცვლილება, თუმცა აუცილებელია გააზრებულ და იდენტიფიცირებული იქნას გეგმარების ხასიათი და ფასეულობა, მხოლოდ მისი გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით მოხდეს ცვლილება.
- 1969 და 1971 წწ. აშენებული კორპუსებზე დასაშვებად მიმაჩნია რეკონსტრუქცია/ ადაპტაცია/ საჭიროების შემთხვევაში მოცულობაში მცირედით გაზრდა.
- ტერიტორიაზე ახალი ობიექტის გაჩენის შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არსებული ობიექტების მასა, მასშტაბი, გეგმარება, მდებარეობა . ახალი მოცულობის სიმაღლე არ შეიძლება ასცდეს არსებული ობიექტების სიმაღლის ნიშნულს, არქიტექტურული გადაწყვეტა ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული, ისე რომ მან პრობლემა არ შეუქმნას არსებული შენობის მთლიანობას და მის აღქმას.
- აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს კორპუსების დამაკავშირებელი ხიდები და გადასასვლელები.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს ღრმა ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**







## 2.4.12. სანატორიუმი „მედეა“

მდებარეობა: სანატორიუმი „მედეა“ მდებარეობს გურიელის ქ. #3-ში, სანატორიუმების „წყალტყუბოს“ და „მეგობრობას“ სიახლოვეს.

**მშენებლობის თარიღი : 1954-1962**
**მაქსიმალური სართულიანობა: 3-4**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

300 საწოლზე გათვლილი ფართო პროფილის სანატორიუმ "მედეას" ("ცენტროსოიუზი") მშენებლობა 1954 წ. დაიწყო, ექსპლუატაციაში კი 1962 წლის ოქტომბერში შევიდა. რთული გეგმარების, მასშტაბური, პომპეზური შენობის არქიტექტორები ალექსანდრე ინწკირველი და თომა ფოცხიშვილი არიან. ამ ჯგუფს წყალტუბოში აშენებული აქვს სანატორიუმი "სავანესე" /1947-1975წ./, ა. ინწკირველს- თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი/1947-1957წწ./

ქუჩიდან სანატორიუმის მთავარ კორპუსამდე გრძელ კიბე-ხეივანს მივყავართ. მთავარი, 140 მეტრის ფლიგელი, კომპოზიციურად და ფასადების დამუშავების სტილისტიკით, ორ ნაწილად არის დაყოფილი.

ერთი - ეს არის, შედარებით მოკლე, სწორხაზოვანი მონაკვეთი, განაპირა, მძლავრად შვერილი რიზალიტებითა და ცენტრში პორტიკით, რომლის მეორე სართული ღია, გიგანტურსვეტებიანი გალერეით არის გახსნილი. ამ ნაწილში მოწყობილია ცენტრალური შესასვლელი. პორტიკს წახნაგოვანი მოხაზულობა აქვს, მუქი ფერის რუსტებით მოპირკეთებული კედლის ვიწრო ზოლები მას სამ ფართე ღიობად ანაწევრებს. ღიობებში ჩასმულია მასიური, ასევე, მუქი ფერის ქვით მოპირკეთებული სვეტები. სიღრმეში გადატანილი კედლის ცენტრში გაჭრილი კარის მეშვეობით ვხვდებით სანატორიუმის სვეტებიან ჰოლში.

პორტიკს ორივე მხრიდან აუყვება კიბე, მეორე სართული სრულად გახსნილია დეკორატიულ კაპიტელებიანი, აზიდული პროპორციის  თაღოვანი გალერეით.  პორტიკითან გალერეა აბსიდისებრად არის შვერილი, თუმცა ის არ უსწორდება პორტიკის კონტურს. შესაბამისად, ჩნდება ბალუსტრადით მოზღუდული ღია ვერანდა. შენობის ეს ნაწილი, რომელიც დიდწილად  განსაზღვრავს ობიექტის პომპეზურ ხასიათს, დასრულებულია  დეკორატიულ იმპოსტებზე ბჯენილი, პროფილირებული კარნიზითა და ბალუსტარდით.

სანატორიუმის მეორე, უფრო გრძელი ნაწილი კი მორკალული, შეზნექილია.  რიზალიტების თემა, განაპირა და ცენტრალური ნაწილებში, აქაც მეორდება. ცოკოლი აქაც რუსტებითაა დაფარული. თეთრი ქვით მოპირკეთებული კედლის სიბრტყე სწორკუთხა და თაღოვანი ღიობებით არის დანაწევრებული, რომელთა უმეტესი ნაწილი აივანს წარმოადგენს. აივნების ფორმა მეტწილად სწორკუთხაა, სუსტად შვერილი. განსხვავებულია  მხოლოდ რიზალიტებზე განთავსებული მომრგვალებული აივნები.  რიზალიტი  მეორე და მესამე სართულზე  თაღით არის  გახსნილი.

ფასადზე, რიზალიტებს შორის, მეორე და მესამე სართულის დონეზე, რიტმულადაა განთავსებული გიგანტური, კორინთული სვეტით მოჩარჩოებული  და პროფილირებული თაროთი  დასრულებული,  კედლის სიბრტყეში ჩაძირული,  ზონები.

პირველ სართულზე, ნაციონალური ხუროთმოძღვრების მოტივებით დამუშავებული აივნებისა და  შეწყვილებული  სვეტების უწყვეტი რიგია. ცენტრალური შესასვლელის წინ აქაც ორმხრივი კიბეა, მის წინ კი ოდესღაც სკულპტურებით გაფორმებული შადრევანი იყო მოწყობილი.

არქიტექტურული კომპოზიცია ისეა აგებული, რომ საკმაოდ გრძელ მორკალულ ფასადზე ერთმანეთს ენაცვლება შეწეული და წინ წამოწეული კედლის ვერტიკალური სიბრტყეები. ეს მრავალფეროვნება და სიბრტყეთა თამაში, მონოტონურობისა და ერთფეროვნებისგან თავის დასაღწევად არის შექმნილი და შენობას მისთვის სახასიათო რიტმსა და დინამიკას სძენს. ობიექტის ორ ნაწილს შორის არსებული განსხვავებები, ხელს არ უშლის მის მთლიანობას. მნახველს პირველად თვალში ხვდება  თაღედი, მისი აზიდული პროპორციები. ღია, გამჭოლი  გალერეა სიმსუბუქისა და პომპეზურობის შთაბეჭდილებას ქმნის, რასაც ენაცვლება მეორე, მორკალული ფლიგელის,  მეტად მშვიდი, თუმცა რიტმული, დინამიკური მონაკვეთი.

ცენტრალური, პორტიკით აქცენტირებული ფლიგელის უკან, ეზოს სიღრმეში, უფრო მაღალ ნიშნულზე,  განთავსებულია შედარებით მომცრო, ასევე პორტიკებით  აქცენტირებული ფლიგელი. სანატორიუმის ამ ნაწილში მოხვედრა შესაძლებელია ეზოდან მოწყობილი ორმხრივი  კიბით,  ასევე  ამ ორ  კორპუსს შორის არსებული, კიდევ ერთი სამსართულიანი ფლიგელის  ღია ვერანდის  მეშვეობით.

სანატორიუმის მორკალური  ფლიგელის უკანაც მდებარეობს  ოთხსართულიანი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ფუნქციის შენობა, რომელიც გადასასვლელით უკავშირდება მთავარ კორპუსს.  მას განსაკუთრებული ღირებულება არ გააჩნია. გარდა ამ ობიექტებისა, ეზოში მიმობნეულია სხვადასხვა დამხმარე ფუნქციის არაერთი მცირე მასშტაბის, ნაკლებად ღირებული, ობიექტი.

მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, შენობაში, კონსტრუქციული თვალსაზრისით, საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობისა დაა ინტერიერის დეგრადირებისა, ნათლად იკითხება ობიექტის ძირითადი მახასიათებლები.

**რეკომენდაციები, პირველადი მონაცემებზე დაყრდნობით:**

ოობიექტის მაღალი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე,  უნდა განხორციელდეს მისი რესტავრაცია და  ყველა ძირითადი მახასიათებლის შენარჩუნება. აღნიშნული მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს როგორც ძირითად, ასევე პორტიკიანი და თაღედიანი ნაწილის უკან არსებული ორი კორპუსის შემთხვევაშიც.

შესაბამისად, ამ სამ ობიექტში დაცული უნდა იყოს:

- ობიექტების ძირითადი კონტური და გეგმარებითი სტრუქტურა;
- არქიტექტურული კომპოზიცია;
- დაუშვებელია  თაღედის ამოშენება-შევსება,
- დაუშვებელია შენობაზე დაშენება;
- სრულად უნდა მოხდეს  საფასადე დეკორის რესტავრაცია.
- შესაძლებლად მიმაჩნია, სამკურნალო-დიაგნოსტიკორი ფლიგელის რეკონსტრუქცია ან თანამედროვე მოცულობით ჩანაცვლება, თუმცა აუცილებელია ცვლილებების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს  ისტორიული შენობის მახასიათებლები. დაუშვებელია რაიმე ფორმით მას შეექმნას ფიზიკური ან/და ვიზუალური საფრთხე.
- დასაშვებად მიმაჩნია ეზოში არსებული  დამხმარე ნაგებობების დემონტაჟი;
- დასაშვებათ მიმაჩნია შიდა გეგამრების შეცვლა და თანამედროვე საჭიროებებზე ადაპტირება, თუმცა დაუშვებელია არსებული ჰოლების დანაწევრება, რესტავრაცია ესაჭიროება  ჰოლებში განთავსებულ სვეტებს;
- აუცილებელია შენარჩუნდეს ინტერიერში შემორჩენილი ღირებული ელემენტები;
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს და თავდაპირველი სახით აღდგეს კიბეები, როგორც ინტერიერში ასევე ექსტერიერში.
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს და თავდაპირველი სახით აღდგეს ეზოშია რსებული აუზები.
- რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს და თავდაპირველი სახით აღდგეს  ეზოში განთავსებული  დეკორატიული სანათები;
- სასურველია აღსდგეს ეზოს მოწყობის თავდაპირველი ხასიათი;

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



# 2.4.13. პანსიონატი “სავანე”

მდებარეობა: სულხან-საბას, ჭავჭავაძის, დედაენისა და რუსთაველის ქუჩებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე სამი სანატორიუმი მდებარეობს: “სავანე”, “სამგურალი” და “სანატორიუმი 1”. “სავანე” ცენტრალურ პარკთან ყველაზე ახლოს, რუსთაველისა და სულხან-საბას ქუჩათა კვეთაზეა განთავსებული.

**მშენებლობის თარიღი : 1947-1975**
**მაქსიმალური სართულიანობა:4**
**მფლობელობა: სახელმწიფო**
ნევროლოგიური პროფილის, პანსიონატ-პოლიკლინიკის მშენებლობა 1947 წელს დაიწყო, როგორც საქართველოს სადაზღვევო სალაროს სამმართველოს უწყებრივი სანატორიუმის მე-2 კორპუსი, პირველი კორპუსი სულხან-საბას ქუჩაზევე არსებული სანატორიუმი “იმერეთი” იყო. მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა და დასრულდა 1975 წელს.
პანსიონატი 150 საწოლზე იყო გათვლილი, პოლიკლინიკაში ფუნქციონირებდა: სხვადასხვა დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, რენტგენის, სტომატოლოგიური, მასაჟის კაბინეტები, აქ ძირითადად მკურნალობდნენ დაავადებულები, რომლებსაც ესაჭიროებოდათ ამბულატორიული მკურნალობა.
ობიექტის არქიტექტორები ა. ინწკირველი და თ. ფოცხიშვილი არიან. არქიტექტორთა ამ ჯგუფს, გარდა სანატორიუმ “სავანესი”, წყალტუბოში აშენებული აქვს სანატორიუმი “ცენტროსაუზი”/დღევანდელი “მედეა”/1962 წ; ა. ინწკირველს კი ასევე თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის კორპუსები -1947-1957წწ., რომელთა მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა და დაკონსერვდა.

სსანატორიუმი ცოტა შემაღლებულ ადგილზე, რუხი ქვის რუსტებით მოპირკეთებულ მცირე ბაქანზე მდებარეობს, წინ მოწყობილია გაზონი. რუსთაველის ქუჩიდან შენობის ცენტრალურ შესასვლელთან მოსახვედრად რუხი ქვით მოპირკეთებული ფართო კიბის ავლაა საჭირო. ობიექტი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ქუჩის შესაყარზე დგას და ის მიუყვება ქუჩათა კონტურს, რამაც განაპირობა შენობის საინტერესო, რთული მოხაზულობა.





ცენტრალურ, ოთხსართულიან ნაწილზე, პირველ სართულზე, აქცენტირებულია ნახევარწრიული, შეწყვილებული, სვეტებიანი პორტიკი, რომლის თავზე ღია ვერანდაა მოწყობილი ბალუსტრადით. მესამე და მეოთხე სართულებიც კი აივნებით არის გახსნილი. ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეს პანსიონატის გრძელი, მრუდი მოხაზულობის ფლიგელებია. მთავარი, რუსთაველის ქუჩაზე გამომავალი ფასადის ცოკოლი რუხი ქვის რუსტებით, დანარჩენი სართულები კი, ღია ფერის ქვით არის მოპირკეთებული და სწორკუთხა და თაღოვანი ღიობებით დანაწევრებული. ცენტრალური ფასადის პირველ სართულს გალერეა-აივნების უწყვეტი ზოლი გასდევს.
უკანა ფასადის დამუშავება მარტივია - შელესილი, შეღებილი და მარტივი, სწორკუთხა ღიობებით დანაწევრებული. შენობის ეს ნაწილი პრაქტიკულად დეკორის გარეშეა დატოვებული. საკმაოდ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი შენობის ინტერიერი პრაქტიკულად სრულად არის განადგურებული.

**რეკომენდაციები პირველად მონაცემებზე დაყრდნობით:**

მთლიანობაში შენობა საინტერესოა სივრცით-არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით: საერთო გეგმარება, კონტური, ფლიგელებს შორის კავშირები, მოცულობების გადანაწილება, სიბრტყეების მონაცვლეობა, საინტერესო მთავარი ფასადის გარკვეული ელემენტები. ვფიქრობ, შესაძლებელია, მოხდეს ობიექტის რეკონსტრუქცია, მათ შორის ახალი ჩანართების გაკეთებაც. თუმცა ისე, რომ გათვალისწინებული, შენარჩუნებული და სათანადოდ იქნეს ინტერპრეტირებული არსებული ობიექტის ღირებული ელემენტები: მასშტაბი, გეგმარება, მთავარი ფასადის ელემენტები და სხვა მახასიათებლები. ამით ახალ სიცოცხლეს მივანიჭებთ ძველსა და, ამავდროულად, წლების წინ დაწყებულ ამბავს გავაგრძელებთ ახალ ობიექტში.

ზოგადად, წყალტუბო, ღირებული ზუსტად იმ მახასიათებლების გამოა, რომლებსაც დიდწილად ეს მასიური, მასშტაბური, პომპეზური ობიექტები ქმნის. შესაბამისად, კურორტის განახლებისას ძირითადი მიდგომა ამ ხასიათის შენარჩუნება უნდა იყოს, რაც გარემოს, მათ შორის ობიექტების შენარჩუნებით არის შესაძლებელი.

ყველა ობიექტი საჭიროებს ახალ მოთხოვნებზე ადაპტაციას, ყველა ობიექტის არქიტექტურულ-ისტორიული ღირებულება იდენტური არ არის, შესაბამისად, მიდგომა უნდა იყოს განსხვავებული, რიგ შეთხვევაში საჭირო და აუცილებელია რესტავრაცია, ზოგჯერ კი დასაშვებია რეკონსტრუქცია ან ე.წ. ადაპტაციური განახლება, ობიექტის ფრაგმენტული შენარჩუნება. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყალტუბოს ერთ-ერთ მთავარი ღირებულება მისი არქიტექტურაა, არაგონივრულია სანატორიუმების ძირითადი ობიექტების სრული დემონტაჟი, დაუშვებელია არსებული ობიექტების დანგრევა და ახალი მასალით მსგავსი ობიექტის აგება. დაუშვებელია მხოლოდ ფასადების შენარჩუნება, მხოლოდ ფრთხილი მიდგომა მოგვცემს სასურველ შედეგს როგორც კონკრეტული ობიექტისთვის, ასევე ზოგადად კურორტისთვის.
სანატორიუმის მდგომარეობა სავალალოა, შენობის უმეტეს ნაწილზე სახურავის არარსებობა დიდ საფრთხეს უქმნის მას. აუცილებელია, სასწრაფოდ განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები, რომელებიც ნაწილობრივ მაინც შეაჩერებს ობიექტის განადგურების პროცესს.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**



## 2.4.14. სასტუმრო „ინტურისტი“

**მშენებლობის თარიღი : 1968- 1976 წელი**
**მაქსიმალური სართულიანობა: 5**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

204 საწოლზე გათვლილი ფართო პროფილის სასტუმრო “ინტურისტის” მშენებლობა 1968 წ. დაიწყო, ექსპლუატაციაში კი 1976 წლის 28 მარტს შევიდა. პროექტის ავტორია ლ. ლორთქიფანიძე. სანატორიუმი „ინტურისტი“ შემაღლებულ ადგილზეა განთავსებული. წაგრძელებული ფორმის ობიექტის არქიტექტურული სახე შექმნილია II-IV სართულზე ღიობთა უწყვეტი, ჰორიზონტალური ზოლისა და ასევე უწყვეტი, ქვით მოპირკეთებული აივნების კონტრასტით. „ინტურისტი“ ასევე ქართული მოდერნიზმის ნიმუშია, ლაკონიური, გეომეტრიული ფორმებითა და მინიმალური დეკორით. სამწუხაროდ, ის ძლიერ არის დეგრადირებული.

სამწუხაროდ, ის ძლიერად არის დეგრადირებული.







## 2.4.15. სანატორიუმი „ სინათლე“

**მშენებლობის თარიღი : 1963-1971 წელი**
**მაქსიმალური სართულიანობა: 3**
**მფლობელობა: სახელმწიფო**

არქიტექტორ ვ. კედიას პროექტით აშენებული სანატორიუმი „სინათლე“ გათვლილი იყო 75 საწოლზე. ის კურორტზე ყველაზე მცირე მოცულობის სანატორიუმია. მარტივი გეგმარების მქონე შენობა დამრეც რელიეფზეა განთავსებული, მისი ერთი მხარე ორ, მეორე კი - სამსართულიანია. მართკუთხა, წაგრძელებული ფორმის შენობის ფასადის კომპოზიცია სამი განსხვავებული გადაწყვეტის კონტრასტზეა აგებული : ორსართულიანი, ყველაზე მაღალ ნიშნულზე არსებული, მონაკვეთის კედლის სიბრტყე ღიობების გარეშეა, ყრუ, თეთრი ქვით მოპირკეთებული. მას მოსდევს ობიექტის ყველაზე გრძელი მონაკვეთი, რომელიც აივნების უწყვეტი რიგით არის გახსნილი, ბოლოს კი მძლავრად შვერილი სახურავის ფილით დასრულებული ფართო, ღრმა ვერანდა. არქიტექტურული გადაწყვეტა მკაფიო, ლაკონიური და მინიმალისტურია. დეკორატიული ელემენტებისგან გათავისუფლებული შენობის სამეტყველო ენა კედლის სადა სიბრტყისა და შენობის ტანში ღრმად ჩასმული აივნების კონტრასტზე, ამ სიბრტყეებში არეკლილი თუ ჩაწოლილი ჩრდილების თამაშზეა აგებული. ობიექტის გადაწყვეტა ისეთია, რომ ყველაზე დახურული, თითქმის ყრუ მონაკვეთიდან, შენობა ეტაპობრივად იხსნება და, საბოლოოდ, სრულად ღია ვერანდაში, ბუნებაშიც კი გადაედინება. ეს ქმნის დინამიკას დახურულიდან ღია სივრცისკენ. ლაკონიური მინიმალისტური ფორმები და განსაკუთრებული დამოკიდებულება ლანდშაფტთან, ბუნებასთან, ზოგადად, სახასიათოა მოდერნისტული არქიტექტურისთვის. დღევანდელ მსოფლიოში საბჭოთა და, მათ შორის, ქართული მოდერნიზმი დიდი ინტერესს იწვევს. სანატორიუმი „სინათლე“ კი ქართული გვიანი მოდერნიზმის ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტია. მისი შენარჩუნება აუცილებელი და სავალდებულოც კი არის.

**რეკომენდაციები, პირველად მონაცემებზე დაყრდნობით:**

მიუხედავად იმისა, რომ შენობა საკმაოდ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, უნდა მოხდეს მისი სრულად შენარჩუნება და რესტავრაცია, რაც, ობიექტის მასშტაბიდან გამომდინარე, არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სირთულეს. აუცილებელია, დაგეგმარების სტრუქტურის, მასშტაბის, ხასიათის, სილუეტის, იერსახისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნება. ობიექტის გეგმარება, მასშტაბი, იძლევა საშუალებას, მარტივად ადაპტირდეს და მოერგოს ახალ, შესაძლებელია სრულიად განსხვავებულ, ფუნქციას.
სანატორიუმის მდგომარეობა სავალალოა, შენობის გარკვეულ ნაწილზე სახურავის არარსებობა დიდ საფრთხეს უქმნის მას. აუცილებელია, სასწრაფოდ განხორციელდეს გადაუდებელი სამუშაოები, რაც ნაწილობრივ მაინც შეაჩერებს ობიექტის განადგურების პროცესს.

***არსებული მონაცემები პირველადია და საჭიროებს დამატებით ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას.**

# 2.5 წყალტუბოს დასაცავი ფასეულობები და დაცვის პერსპექტივები

თერაპიული, ბალნეოლოგიური ქალაქების განვითარების პიკური პერიოდი XVIII საუკუნეში იწყება და 1930-1940წწ. გრძელდება.

ბალნეოლოგიურ ქალაქებს გააჩნიათ მსგავსი საკურორტო მახასიათებლები, ესაა მათი გეგმარება, არქიტექტურა, ინფრასტრუქტურა და ბალნეოლოგიური კურორტის სპეციფიკაზე მორგებული სხვა მახასიათებლები:

• **ლანდშაფტისა და ურბანული გარემოს მჭიდრო ურთიერთობა** - ძალზე მნიშვნელოვანია ქალაქების ქსოვილის კომბინაცია პარკებსა და გამწვანებულ ადგილებთან, მიმდებარე ლანდშაფტთან. ბალნეოლოგიური ქალაქების ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონები ჩართული იყო სამკურნალო-გამაჯანსაღებელ პროცესში. შესაბამისად, საკურორტო ქალაქების შიგნითა და მის გარშემო არსებული გამწვანებული ფართო ტერიტორიები წარმოადგენდნენ „თერაპიულ ლანდშაფტს“ და ის განუყოფელ და აუცილებელ კომპონენტად განიხილებოდა კურორტზე ჩამოსულთა გაჯანსაღების პროცესში.

o შესაბამისად, ბალნეოლოგიური კურორტების შენარჩუნებისას, ქალაქის შიგნით არსებული რეკრეაციული ტერიტორიების, ასევე ქალაქის გარშემო არსებული გამწვანებული ზონების შენარჩუნებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისახება მათ მოვლა-პატრონობაში, ფუნქციის შენარჩუნებაში, ახალი რეკრეაციული და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ფუნქციებით დატვირთვასა და, ასევე, განაშენიანებული და გაუნაშენებელი ტერიტორიების ბალანსის დაცვაში.

წყალტუბოში, როგორც ზემოთ ვიხილეთ, გამწვანებულ ზონებს დიდი ყურადღება ეთმობოდა. შესაბამისად, აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნას ძირითადი ბალანსი განაშენიანებულ და გაუნაშენებელ ტერიტორიებს შორის, როგორც ქალაქის მასშტაბით, ასევე სანატორიუმების ტერიტორიაზე. შესასწავლი და გასაახლებელია ბალნეოლოგიური პარკისა და გენგეგმით გათვალისწინებული ე.წ მეოთხე და ტყე-პარკებისთვის გამოყოფილი ზონის კონცეფცია.

• **ქალაქგეგმარება** - საკურორტო ქალაქების ერთ-ერთი დამახასიათებელი ასპექტია ფუნქციური სეგმენტაცია. კურორტები დაყოფილია: საკურორტო-სანატორიულ, რეკრეაციულ, ბალნეოლოგიურ, საცხოვრებელ და დამხმარე ზონებად. ქალაქებში აღნიშნული ფუნქციები და ზონები ჰარმონიულად იყო ინტეგრირებული ლანდშაფტში.

o აუცილებელია, შენარჩუნებული იქნას წყალტუბოს დაგეგმარების ხასიათი, მისი ზონირების სპეციფიკა, არქიტექტურისა და ლანდშაფტის ურთიერთობა.

• **ფუნქციური მრავალფეროვნება** - ბალნეოლოგიური კურორტი, სპეციფიკიდან გამომდინარე ითავსებს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ და რეკრეაციულ ფუნქციას. კურორტებზე ჩამოსულთა მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში აღემატებოდა და აღემატება 7-14 დღეს (წყალტუბოში ვიზიტის ხანგრძლივობა 21 დღით განისაზღვრებოდა). შესაბამისად, აუცილებელი იყო კურორტი ყოფილიყო არამარტო სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ფუნქციის, არამედ შეეთავსებინა რეკრეაციული და გასართობი ფუნქციაც, ამან განაპირობა ისეთი ობიექტების გაჩენა როგორიც არის: სპორტული ობიექტები - საჩოგბურთო კორტები, საცურაო აუზები; გასართობი ობიექტები - თეატრები, საკონცერტო დარბაზები, კაზინოები, კაფეები, რესტორნები და სხვ.

o აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შენარჩუნდეს კურორტის მრავალფუნქციურობა, განვითარდეს და კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს თანამედროვე საჭიროებებიდან გამომდინარე.

• **არქიტექტურა** - კურორტების, უმეტეს შემთხვევაში მსხვილი მასშტაბის, პომპეზური არქიტექტურა დიდწილად განსაზღვრავს საკურორტო ქალაქების იერს. წყალტუბო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის ღია ცის ქვეშ არსებულ მუზეუმს, სადაც სრულად არის წარმოდგენილი საბჭოეთში გავრცელებული მრავალი არქიტექტურული სტილის მაგალითები. აღნიშნული არქიტექტურული ობიექტები ქმნის იმ მასშტაბსა და ხასიათს, რაც აძლევს წყალტუბოს საშულებას, პრეტენზია განაცხადოს არა მხოლოდ როგორც რეგიონალურმა, არამედ როგორც კარგად ნაცნობმა საერთაშორისო კურორტმა.

o შესაბამისად, აუცილებელია საკურორტო ობიექტები: სანატორიუმები, სააბაზანოები,





საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მოერგოს თანამედროვე მოთხოვნებს, თუმცა კურორტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ობიექტების რეკონსტრუქცია, რესტავრაცია და ადაპტაციისას შენარჩუნებულ იქნას ძირითადი მახასიათებლები. დაშვებული ქმედებები და მიდგომები თითოეული ობიექტისთვის შესაბამისი კვლევის შედეგად, ინდივიდუალურად უნდა იქნას დადგენილი.

• **მედიცინა და მკურნალობა** - ევროპის დიდი აბაზანები.
ერთ-ერთი მახასიათებელი, რაც ამ კურორტებს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს არის ის, რომ კურორტების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცესი ფეხდაფეხ მიჰყვება მედიცინის აღმოჩენებს, ინოვაციებსა და თანამედროვე საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურორტები დიდწილად ინარჩუნებენ ისტორიულ სახეს და არ კარგავენ კავშირს წარსულთან, სამკურნალო პროცესი თანამედროვე და მაღალხარისხიანია.

o სამწუხაროდ, ამ მხრივ წყალტუბოში ვითარება ძალიან რთულია როგორც სამედიცინო ინფრასტრუქტურის, ასევე მკურნალობის მეთოდოლოგიების კუთხით. ეს კი წყალტუბოს არაკონკურენტუნარიანს ხდის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე. ამ მხრივ, აუცილებელია გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.
ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოს მახასიათებლები მრავალკომპონენტიანია და ის მოიცავს: ქალაქგეგმარებას, არქიტექტურას, ფუნქციურ სპეციფიკას, ქალაქისა და ლანდშაფტური ტერიტორიების სინერგიას, მინერალური წყლების მახასიათებლებს, სამკურნალო ინფრასტრუქტურასა და მკურნალობის მეთოდოლოგიას. რომელიმე ერთი კომპონენტის გაუაზრებელმა და არათანამიმდევრულმა განვითარებამ ან უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კურორტის ძირითადი მახასიათებლების არამართებული შეცვლა. ცვლილებები და თანამედროვე მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგება (რაც შეიძლება აისახოს როგორც ახალი ფუნქციების გაჩენასა და ობიექტების ფუნქციების შეცვლებში, ასევე, რიგ შემთხვევაში, ობიექტების რეკონსტრუქცია-ადაპტაციაში, ახალი ობიექტების გაჩენაში, ურბანული გეგმარების კორექტირებაში და სხვ.) აუცილებელია, იყოს გააზრებული, დასაბუთებული და მართული.

ჩვენ წინაშეა ურთულესი ამოცანა - წყალტუბოს, როგორც ისტორიული, არქიტექტურული, ურბანული და კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტის შენარჩუნება და, ამავდროულად, კურორტის განვითარება, მისი თანამედროვე, საერთაშორისო დონის კურორტად გადაქცევა.

წყალტუბოს განვითარებისთვის ამოსავალი წერტილი ინოვაციასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას შორის ბალანსის მოძიებაა. ვფიქრობთ, მხოლოდ კონკრეტული ობიექტებისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება და ამით მათი დაცვა არასათანადო შედეგს გამოიღებს. აქ არჩევანი უნდა შეჩერდეს კომპლექსურ მიდგომაზე, რაც საშუალებას მოგვცემს, ვმართოთ ცვლილებები და ისინი განვიხილოთ არა კონკრეტული ობიექტის, არამედ კურორტის მასშტაბში. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, მეტად პასუხობს იმ გამოწვევას, რასაც კურორტის ისტორიული მახასიათებლების დაცვა ჰქვია და, ამავდროულად, მეტ თავისუფლებას იძლევა, რადგან მეტია სივრცე განსხვავებული მიდგომებისთვის, ძველსა და ახალს შორის ბალანსისთვის, სიახლეებისთვის.

კულტურული მემკვიდროების დაცვა სრულებითაც არ გულისხმობს ობიექტების დაკონსერვებასა და მათ სამუზეუმოარტეფაქტებადგადაქცევას,არამედმისიუპირველესიმიზანია,შეინარჩუნოს ძეგლებიმათისრული სისავსით, რაც გულისხმობს არა მარტო მათი იერსახის შენარჩუნებას, არამედ სიცოცხლისუნარიანობასა და დღევანდელ ცხოვრებაში ინტეგირირებას. ეს ერთადერთი მართებული და ადეკვატური გზაა კურორტის შენარჩუნებისა და განახლებისთვის. ფრთხილი, ადეკვატური განვითარებისთვის აუცილებელია, მოხდეს ამა თუ იმ ობიექტის, თუ მთლიანად არეალის თანამედროვეობაზე მორგება-ადაპტაცია, თუმცა აუცილებელია ცვლილებების მართვა.
მიზნის მისაღწევად აუცილებელია, დამუშავდეს ისტორიული ქალაქებისა და დასახლებების დაცვის/შენარჩუნების მექანიზმი. ვფიქრობთ, სასურველია არსებული ვითარებიდან გამომდინარე, წყალტუბოს მიენიჭოს კომპლექსური ძეგლის სტატუსი და დამუშავდეს კონსერვაციის გეგმა.

# 2.5 წყალტუბოს დასაცავი ფასეულობები და დაცვის პერსპექტივები

თერაპიული, ბალნეოლოგიური ქალაქების განვითარების პიკური პერიოდი XVIII საუკუნეში იწყება და 1930-1940წწ. გრძელდება.

ბალნეოლოგიურ ქალაქებს გააჩნიათ მსგავსი საკურორტო მახასიათებლები, ესაა მათი გეგმარება, არქიტექტურა, ინფრასტრუქტურა და ბალნეოლოგიური კურორტის სპეციფიკაზე მორგებული სხვა მახასიათებლები:

• **ლანდშაფტისა და ურბანული გარემოს მჭიდრო ურთიერთობა** - ძალზე მნიშვნელოვანია ქალაქების ქსოვილის კომბინაცია პარკებსა და გამწვანებულ ადგილებთან, მიმდებარე ლანდშაფტთან. ბალნეოლოგიური ქალაქების ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონები ჩართული იყო სამკურნალო-გამაჯანსაღებელ პროცესში. შესაბამისად, საკურორტო ქალაქების შიგნითა და მის გარშემო არსებული გამწვანებული ფართო ტერიტორიები წარმოადგენდნენ „თერაპიულ ლანდშაფტს" და ის განუყოფელ და აუცილებელ კომპონენტად განიხილებოდა კურორტზე ჩამოსულთა გაჯანსაღების პროცესში.

o შესაბამისად, ბალნეოლოგიური კურორტების შენარჩუნებისას, ქალაქის შიგნით არსებული რეკრეაციული ტერიტორიების, ასევე ქალაქის გარშემო არსებული გამწვანებული ზონების შენარჩუნებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისახება მათ მოვლა-პატრონობაში, ფუნქციის შენარჩუნებაში, ახალი რეკრეაციული და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ფუნქციებით დატვირთვასა და, ასევე, განაშენიანებული და გაუნაშენებელი ტერიტორიების ბალანსის დაცვაში.

წყალტუბოში, როგორც ზემოთ ვიხილეთ, გამწვანებულ ზონებს დიდი ყურადღება ეთმობოდა. შესაბამისად, აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნას ძირითადი ბალანსი განაშენიანებულ და გაუნაშენებელ ტერიტორიებს შორის, როგორც ქალაქის მასშტაბით, ასევე სანატორიუმების ტერიტორიაზე. შესასწავლი და გასაახლებელია ბალნეოლოგიური პარკისა და გენგეგმით გათვალისწინებული ე.წ მეოთხე და ტყე-პარკებისთვის გამოყოფილი ზონის კონცეფცია.

• **ქალაქგეგმარება** - საკურორტო ქალაქების ერთ-ერთი დამახასიათებელი ასპექტია ფუნქციური სეგმენტაცია. კურორტები დაყოფილია: საკურორტო-სანატორიულ, რეკრეაციულ, ბალნეოლოგიურ, საცხოვრებელ და დამხმარე ზონებად. ქალაქებში აღნიშნული ფუნქციები და ზონები ჰარმონიულად იყო ინტეგრირებული ლანდშაფტში.

o აუცილებელია, შენარჩუნებული იქნას წყალტუბოს დაგეგმარების ხასიათი, მისი ზონირების სპეციფიკა, არქიტექტურისა და ლანდშაფტის ურთიერთობა.

• **ფუნქციური მრავალფეროვნება** - ბალნეოლოგიური კურორტი, სპეციფიკიდან გამომდინარე ითავსებს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ და რეკრეაციულ ფუნქციას. კურორტებზე ჩამოსულთა მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში აღემატებოდა და აღემატება 7-14 დღეს (წყალტუბოში ვიზიტის ხანგრძლივობა 21 დღით განისაზღვრებოდა). შესაბამისად, აუცილებელი იყო კურორტი ყოფილიყო არამარტო სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ფუნქციის, არამედ შეეთავსებინა რეკრეაციული და გასართობი ფუნქციაც, ამან განაპირობა ისეთი ობიექტების გაჩენა როგორიც არის: სპორტული ობიექტები - საჩოგბურთო კორტები, საცურაო აუზები; გასართობი ობიექტები - თეატრები, საკონცერტო დარბაზები, კაზინოები, კაფეები, რესტორნები და სხვ.

o აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შენარჩუნდეს კურორტის მრავალფუნქციურობა, განვითარდეს და კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს თანამედროვე საჭიროებებიდან გამომდინარე.

• **არქიტექტურა** - კურორტების, უმეტეს შემთხვევაში მსხვილი მასშტაბის, პომპეზური არქიტექტურა დიდწილად განსაზღვრავს საკურორტო ქალაქების იერს. წყალტუბო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის ღია ცის ქვეშ არსებულ მუზეუმს, სადაც სრულად არის წარმოდგენილი საბჭოეთში გავრცელებული მრავალი არქიტექტურული სტილის მაგალითები. აღნიშნული არქიტექტურული ობიექტები ქმნის იმ მასშტაბსა და ხასიათს, რაც აძლევს წყალტუბოს საშულებას, პრეტენზია განაცხადოს არა მხოლოდ როგორც რეგიონალურმა, არამედ როგორც კარგად ნაცნობმა საერთაშორისო კურორტმა.

o შესაბამისად, აუცილებელია საკურორტო ობიექტები: სანატორიუმები, სააბაზანოები,



საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მოერგოს თანამედროვე მოთხოვნებს, თუმცა კურორტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ობიექტების რეკონსტრუქცია, რესტავრაცია და ადაპტაციისას შენარჩუნებულ იქნას ძირითადი მახასიათებლები. დაშვებული ქმედებები და მიდგომები თითოეული ობიექტისთვის შესაბამისი კვლევის შედეგად, ინდივიდუალურად უნდა იქნას დადგენილი.

• **მედიცინა და მკურნალობა** - ევროპის დიდი აბაზანები.
ერთ-ერთი მახასიათებელი, რაც ამ კურორტებს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს არის ის, რომ კურორტების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცესი ფეხდაფეხ მიჰყვება მედიცინის აღმოჩენებს, ინოვაციებსა და თანამედროვე საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურორტები დიდწილად ინარჩუნებენ ისტორიულ სახეს და არ კარგავენ კავშირს წარსულთან, სამკურნალო პროცესი თანამედროვე და მაღალხარისხიანია.

o სამწუხაროდ, ამ მხრივ წყალტუბოში ვითარება ძალიან რთულია როგორც სამედიცინო ინფრასტრუქტურის, ასევე მკურნალობის მეთოდოლოგიების კუთხით. ეს კი წყალტუბოს არაკონკურენტუნარიანს ხდის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე. ამ მხრივ, აუცილებელია გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.
ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოს მახასიათებლები მრავალკომპონენტიანია და ის მოიცავს: ქალაქგეგმარებას, არქიტექტურას, ფუნქციურ სპეციფიკას, ქალაქისა და ლანდშაფტური ტერიტორიების სინერგიას, მინერალური წყლების მახასიათებლებს, სამკურნალო ინფრასტრუქტურასა და მკურნალობის მეთოდოლოგიას. რომელიმე ერთი კომპონენტის გაუაზრებელმა და არათანამიმდევრულმა განვითარებამ ან უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კურორტის ძირითადი მახასიათებლების არამართებული შეცვლა. ცვლილებები და თანამედროვე მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგება (რაც შეიძლება აისახოს როგორც ახალი ფუნქციების გაჩენასა და ობიექტების ფუნქციების შეცვლებში, ასევე, რიგ შემთხვევაში, ობიექტების რეკონსტრუქცია-ადაპტაციაში, ახალი ობიექტების გაჩენაში, ურბანული გეგმარების კორექტირებაში და სხვ.) აუცილებელია, იყოს გააზრებული, დასაბუთებული და მართული.

ჩვენ წინაშეა ურთულესი ამოცანა - წყალტუბოს, როგორც ისტორიული, არქიტექტურული, ურბანული და კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტის შენარჩუნება და, ამავდროულად, კურორტის განვითარება, მისი თანამედროვე, საერთაშორისო დონის კურორტად გადაქცევა.

წყალტუბოს განვითარებისთვის ამოსავალი წერტილი ინოვაციასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას შორის ბალანსის მოძიებაა. ვფიქრობთ, მხოლოდ კონკრეტული ობიექტებისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება და ამით მათი დაცვა არასათანადო შედეგს გამოიღებს. აქ არჩევანი უნდა შეჩერდეს კომპლექსურ მიდგომაზე, რაც საშუალებას მოგვცემს, ვმართოთ ცვლილებები და ისინი განვიხილოთ არა კონკრეტული ობიექტის, არამედ კურორტის მასშტაბში. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, მეტად პასუხობს იმ გამოწვევას, რასაც კურორტის ისტორიული მახასიათებლების დაცვა ჰქვია და, ამავდროულად, მეტ თავისუფლებას იძლევა, რადგან მეტია სივრცე განსხვავებული მიდგომებისთვის, ძველსა და ახალს შორის ბალანსისთვის, სიახლეებისთვის.

კულტურული მემკვიდროების დაცვა სრულებითაც არ გულისხმობს ობიექტების დაკონსერვებასა და მათ სამუზეუმოარტეფაქტებადგადაქცევას,არამედმისიუპირველესიმიზანია,შეინარჩუნოსძეგლებიმათისრული სისავსით, რაც გულისხმობს არა მარტო მათი იერსახის შენარჩუნებას, არამედ სიცოცხლისუნარიანობასა და დღევანდელ ცხოვრებაში ინტეგირირებას. ეს ერთადერთი მართებული და ადეკვატური გზაა კურორტის შენარჩუნებისა და განახლებისთვის. ფრთხილი, ადეკვატური განვითარებისთვის აუცილებელია, მოხდეს ამა თუ იმ ობიექტის, თუ მთლიანად არეალის თანამედროვეობაზე მორგება-ადაპტაცია, თუმცა აუცილებელია ცვლილებების მართვა.
მიზნის მისაღწევად აუცილებელია, დამუშავდეს ისტორიული ქალაქებისა და დასახლებების დაცვის/შენარჩუნების მექანიზმი. ვფიქრობთ, სასურველია არსებული ვითარებიდან გამომდინარე, წყალტუბოს მიენიჭოს კომპლექსური ძეგლის სტატუსი და დამუშავდეს კონსერვაციის გეგმა.

## 2.6 წყალტუბოს დაცვის პერსპექტივები მოსაზრებები წყალტუბოში არსებული ფასეულობების დაცვის სტრატეგიაზე

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შემდეგ ობიექტს იცავს „კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც ადგენს ობიექტ(ებ)ის დაცვის ძირითად პრინციპს:

**„მუხლი 22. ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი**- ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე კანონი ადგენს ძეგლზე დასაშვებ ქმედებებს (კონსერვაცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, რეკონსტრუქცია, მოცულობის შეცვლა), მათი მიზანი ძეგლის ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებაა.

კანონი, ასევე ადგენს ძეგლზე სამუშაოების დაწყებამდე ჩასატარებელ კვლევებს - **მუხლი 49.** ძეგლზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები კვლევების მიზანია ძეგლის ძირითადი მახასიათებლების, ასევე ძეგლისთვის მეტად მისაღები და რელევანტური მიდგომის იდენტიფიცირება, ობიექტის სტატუსიდან გამომდინარე, მიდგომების და დასაშვები ქმედებების ჩარჩო განსაზღვრულია კანონით. შესაბამისად, სტატუსის ობიექტისთვის უზრუნველყოფს გარკვეულ დაცვას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლის დაცვა უმეტეს შეთხვევაში გულისხმობს ძეგლის არა კონსერვაციას, არამედ მის სწორ განვითარებას და თანამედროვე საჭიროებებზე მორგებას, ამიტომაც კანონში დასაშვებ ქმედებებს შორის არის - ადაპტაცია, რეკონსტრუქცია, მოცულობის შეცვლა.

რადგან წყალტუბოს არქიტექტურულ- ურბანული ღირებულება ეჭვს არ იწვევს, **და სახელმწიფოს მიზანი მისი დაცვაზე დაფუძნებული განვითარებაა**, ვფიქრობ, კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოცემული ძეგლის განვითარების ჩარჩო სრულად პასუხობს ამ მიზანს, ობიექტებისთვის სტატუსის მინიჭება კი უზრუნველყოფს მათ ადეკვატურ და მართებულ განვითარებას.

**იმ ღირებულ ობიექტთა დაცვა, რომლებსაც არ გააჩნიათ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, უნდა მოხდეს ტერიტორიისათვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის მინიჭების გზით და ზონაში განსაკუთრებული, ობიექტების ისტორიულ-არქიტექტურული მახასიათებლების შენარჩუნებაზე ორიენტურებული, რეჟიმის დადგენით.**

ობიექტებისთვის სტატუსის მინიჭების გარეშე, მათი ალტერნატიული, ტერიტორიისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების გზით დაცვის შემთხვევაში არსებობს გარკვეული რისკები, რომელთა გააზრება და მინიმიზაცია აუცილებელია.





**რისკი 1** - სტატუსის მინიჭების გარეშე ობიექტ(ებ)ზე არ მოქმედებს „კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ასევე, ძეგლთა დაცვის ძირითადი პრინციპები, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს ობიექტის ისეთ განვითარებას, როდესაც ის, ერთი მხრივ, პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, მეორე მხრივ, არ კარგავს მნიშვნელოვან (ისტორიულ, არქიტექტურულ, ურბანულ) მახასიათებლებს.
ამ საშიშროების შემცირება შესაძლებელია ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის შედგენითა და დამტკიცების გზით, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ორ ძირითად პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს:

1. ობიექტებზე დასაშვები ქმედებების და მიდგომების განსაზღვრისას, უპირველესი მიზანი მათი კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თავისებურებების, მათ შორის გარემოს შენარჩუნება უნდა იყოს.

2. დოკუმენტით განსაზღვრული, ამა თუ იმ ობიექტზე დასაშვები ქმედებები - დასაცავი მახასიათებლები ასევე, განვითარების საშუალება, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მყიდველისთვის, რათა შემდგომ არ განვითარდეს ობიექტის ღირებულებების დამაზიანებელი გაუთვალისწინებელი პროცესები;

დოკუმენტში მოცემული გადაწყვეტილებები უნდა იყოს სავალდებულო;

**რისკი 2** - წყალტუბოს განვითარების კონცეფციის ეტაპზე ჩატარებული ისტორიული, არქიტექტურული, ურბანული მხატვრული ღირებულებების კვლევა წინასწარია და არ ასახავს სრულ სურათს.
აღნიშნული ვითარება შეიძლება არ წარმოადგენდეს პრობლემას ობიექტებისთვის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, რადგან სტატუსი ავტომატურად განსაზღვრავს, როგორც დასაშვები ქმედებების ჩარჩოს, ასევ ჩასატარებელი კვლევების ნუსხას.

იმ შემთხვევაში თუ ობიექტებს სტატუსი არ გააჩნიათ:

a) ობიექტის მფლობელი არ არის კანონონმდებლობით გათვალისწინებული ჩარჩოთი შეზღუდული ანუ თავისუფალია ქმედებებში;
b) ობიექტის მფლობელს არ აქვს კვლევის ვალდებულება;
შესაბამისად, მთელი პასუხისმგებლობა და დატვირთვა გადადის ქალაქმშენებლობით დოკუმენტზე, რომელიც განსაზღვრავს დასაშვებ ქმედებებს და მიდგომებს.
იმ შემთხვევაში, თუ „კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ გათვალისწინებული ჩარჩო არ მოქმედებს და ობიექტზე დასაშვებ ქმედებებს და მიდგომებს განსაზღვრავს ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, აუცილებელია დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩატარდეს სრულფასოვანი და მიუკერძოებელი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რომლის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით მიიღება საბოლოო დოკუმენტი. აღნიშნულმა კვლევამ სრულად და დეტალურად უნდა გამოავლინოს თითოეული ობიექტის დასაცავი ფასეულობა.
სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების შემდგომ ეტაპზე ანუ ობიექტის მფლობელისთვის დავალდებულება, იმ პირობებში როდესაც, ერთი მხრივ, არ არის დასაშვებ ქმედებათა ჩამონათვალი შეზღუდული, მეორე მხრივ, სახელოვნებათმცოდნეო კვლევას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, მესამე კი არ არსებობს ხელოვნებათმცოდნეთა ლიცენზირება - გამოიწვევს სავალალო შედეგებს.
ასევე, სასურველია ობიექტების გასხვისებამდე მოხდეს დეტალური კონსტრუქციული კვლევა. მხოლოდ საფუძვლიანი სახელოვნებათმცოდნეო და კონსტრუქციული კვლევის შედეგად არის შესაძლებელი შეიქმნას სრული და რეალური სურათი ობიექტთა ფასეულობის და მათი გადარჩენის სტრატეგიის, აქედან გამომდინარე კი იმ რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ობიექტის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის, ეს უკანასკნელი კი უნდა განსაზღვრავდეს ობიექტის გასაყიდ ფასს. მხოლოდ აღნიშნული მიდგომის შედეგად, შესაძლებელია ერთის მხრივ, დადგინდეს ადეკვატური გასაყიდი ფასი, მეორეს მხრივ, იდენტიფიცირდეს დაინტერესებული პირები, რომლებსაც აქვთ უნარი და სურვილი დაიცვან და განავითარონ ობიექტი მისი მახასიათებლების დაზიანების გარეშე.

**რისკი 3.** ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის ცვლილება - ობიექტების და გარემოს ფასულობებისა და ძირითადი მახასიათებლების დამაზიანებელი, მფლობელებზე მორგებული ცვლილებების შეტანა.

02

# 2.7 ფასეული და ნაკლებ ფასეული ობიექტების ნუსხა

| სანატორიუმის სახელწოდება | თარიღი | არქიტექტორი | კონცეფციით დადგენილი ფასეული შენობები | 2014 წელს შესრულებული შეფასების მიხედვით "გეოგრაფიკი" | კულტურული მემკვიდრეობის უძრ. ძეგლის სტატუსის მქონე შენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ცისკარი | 1928 | | - | - | - |
| 2. სანატ.წყალტუბო | 1936 | მ. ვ. ბუზოღლი / 1967-71 ლ. გიორგაძე | + | + | - |
| 3. მეგობრობა | 1937 -1939 | მ. ლენტოვსკი / რეკონსტრუქცია: 1951-54 მ. კალაშნიკოვი | + | + | - |
| 4. ფილიალი | 1939 | ვ. კოლჩინი | + | + | - |
| 5. სანატ. წყალტუბო /სტალინის/ | 1940 | ნ. სევეროვი | + | + | - |
| 6. სამხედრო | 1947-1957 | ა. ინწკირველი, ვ. ჩანტლაძე, ვ. ნასარიძე | + | 0 | - |
| 7. რკინიგზელი | 1948-1954 | ვ. ვექილოვა / ნ. პოჩეპცოვა | + | + | - |
| 8. თბილისი | 1950 | ვ. ოლტარაჟევსკი / ბ. ს. ობოლევსკი | + | + | - |
| 9. იმერეთი | 1950-1961 | ლ.ჯანელიძე/ვ. მესხიშვილი | + | + | + |
| 10. მეშახტე | 1952 | გ. ხიმშიაშვილი, გ.მელეგი | + | + | - |
| 11. მეტალურგი | 1957 | ვ. კედია/ ნ. სოლოვიოვა | + | 0 | + |
| 12. ივერია | 1962 | მ. ბუზოღლი (შვ) | + | + | + |
| 13. მედეა | 1962 | ა.ინწკირველი, თ.ფოცხიშვილი | + | + | + |
